საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიფფეკვაა, ფეფილებით და ჭიჩებით ბეფ-თის გაფანა ყველა ეკალრისიბაზე ესაძაგლესია.

სამშაბათი, 4 სექტემბერი. 2018 წ. №174 (8575) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქურდების მეგობარი გენერლები ცხინვალში!

სად იყო გრიგოლ ვაშაძე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს?

მოსკოვიდან გვაფფრთხილებენ

მოსკოვის მედიამ (ცალკეულმა ტელეარხებმა და გაზეთებმა) 2018 წლის ივლისის შუა რიცხვებში საზოგადოებას აუწყა იმის შესახებ, რომ საგამოძიებო კომიტეტის თანამშრომლები გენერლები **ნიკანდროვი** და **დრიმანოვი** დააპატიმრეს. **გამოძიებამ დაადგინა, რომ ორივე რუს გენერალს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქურდულ სამყაროში ცნობილ ზაქარია კალაშოვთან (თბილისის მკვიდრთან, ოღონდ არაქართველ ავაზაკთან), რომელიც მათ მატერიალურად ასაზრდოებდა.**

მოგვიანებით ცნობილი გახდა აგრეთვე ძნელად ასახსნელი ფაქტი, მითითებული რუსი გენერლები უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს სისხლისმღვრელ ომთან, რომელიც ერთმორწმუნე რუსებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში უპრეცედენტო და სამარცხვინო მოვლენად განიხილება. რუსულმა მედიამ ისიც დაადგინა, რომ გენერლები დრიმანოვი, ნიკანდროვი და მათთან ერთად გენერალი ბასტრიკინი საიდუმლოდ იყვნენ განთავსებული ცხინვალის რეგიონში (სამაჩაბლოში) და ადგილობრივ სეპარატისტებს რჩევა-დარიგებას აძლევდნენ იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოემოქმედათ, რომ პოლიტიკურად უმწიფარი და დაუდეგარი მიხეილ სააკაშვილი საომარ მოქმედებაში ჩაერთოთ, სწორედ ასეთმა დაძაბულმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ რეგიონში განლაგებულ რუს „მშვიდობისმოყვარეთა“ საჯარისო ნაწილებს ერთმორწმუნე ქართველი ხალხის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ომი გაეჩაღებინათ.

ასეთი გახლავთ გულდასაწყვეტი სამარცხვინო ფაქტები დღევანდელი ჩვენი „დემოკრატიული“ სინამდვილისა, რომელსაც, ჩვენი დაკვირვებით, ეხმიანება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე გრიგოლ ვაშაძის ინტერვიუ ქართული მედიისთვის. როგორც ირკვევა, 2008 წლის ომის დაწყებისას იგი მოსკოვში იმყოფებოდა და ბიზნესით იყო დაკავებული. არ არის გამორიცხული, რომ იგი ინფორმირებული იყო სამაჩაბლოში ჩასაფრებული რუსი გენერლების ბინძური საქმიანობის შესახებ.

მოამზადა
გურამ წიკლაურმა

მუჰაჯირი აფხაზები არ ფიქრობენ, რომ ქართველები „ფაშისტები“ არიან! 7

სოფლები თურქეთში, სადაც ქართველები და აფხაზები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ითხოვს

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

საპრეზიდენტო არჩევნები: შეფასებები ვაშინგტონიდან

საქართველოში, საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვაშინგტონში მის თავისუფლად და სამართლიანად ჩატარების მნიშვნელობაზე საუბრობენ. ამ დრომდე მმართველ პარტიას კანდიდატი არ წარუდგენია. „ქართული ოცნების“ არაპირდაპირი მხარდაჭერა სალომე ზურაბიშვილს აქვს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლი კანდიდატის სტატუსით იღებს.

„საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს მოკავშირეები ახლოდან აკვირდებიან საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდს. საქართველომ ბოლო წლებში, ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რასაც დასავლეთი აღიარებს. მაღალი სტანდარტის შენარჩუნება ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნისთვის მნიშვნელოვანია“, — ამბობს დონალდ ჯენსენი, ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრიდან.

დონალდ ჯენსენის შეფასებით, მმართველი პარტიის მხრიდან დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა, საკუთარი კანდიდატის წარდგენის ნაცვლად, „არაჯანსაღი“ სვლაა.

„მმართველ პარტიას აქვს პასუხისმგებლობა მისი ამომრჩევლის წინაშე, და ბევრს არ ესმის, თუ რატომ დგამენ ისინი ამ ნაბიჯს. ამ დროისთვის „ქართული ოცნება“ ამ საკითხზე გაყოფილია, და მიდის დისკუსია იმაზე, რომ პარტიის თავმჯდომარემ შეიძლება გადაიფიქროს და „ქართული ოცნების“ კანდიდატი წარადგინოს. ის განცხადებები, რასაც „ქართული ოცნების“ ლიდერები აკეთებენ, ასუსტებს პრეზიდენტის ინსტიტუტს“, — ამბობს **ჯენსენი.**

მისი თქმით, პრეზიდენტი კონსტიტუციური ბალანსის დამცველია.

„საქართველოს სჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია დაიცვას კონსტიტუციური ბალანსი ძალაუფლების შტოებს შორის. რომელიც დემოკრატიის განვითარებას, დასავლურ ღირებულებებს, და საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებას უჭერს მხარს“, — თქვა მან.

საპარლამენტო ოპოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატები უკვე წარადგინა. **„ევროპული საქართველოს“** ეგიდით, არჩევნებში პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იბრძოლებს. ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, კოალიცია **„ძალა ერთობაშია“** სახელით, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძეა. არჩევნებში მონაწილეობას იღებს ასევე, პოლიტიკური გაერთიანება **„გირჩის“** ლიდერი, ზურა ჯაფარიძე, **„შენების მოძრაობიდან“** დავით უსუფაშვილი.

„ამერიკის ხმასთან“ საუბარში ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში **კენეტ იალოვიცი** ხაზს უსვამს არჩევნების მნიშვნელობას, რადგან ეს საკონსტიტუციო ცვლილებების გათვალისწინებით ბოლო არჩევნებია, სადაც პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა.

„მართალია, პრეზიდენტს ნაკლები ძალაუფლება აქვს, თუმცა მისი პოზიცია მნიშვნელოვანია იდეების, პრინციპების გამოხატვისა და წინადადებების შემუშავების კუთხით“ ეს მნიშვნელოვანი თანამდებობაა... პრეზიდენტი შეიძლება არ ეთანხმებოდეს მთავრობის მეთაურს, და იდგეს მიკერძოებულობაზე მაღლა. და იმედი მაქვს, ეს ასე იქნება“, — ამბობს იალოვიცი.

წინასაარჩევნო გარემო და არჩევნები შეაფასა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დელეგაციამ, მათი თქმით მიუხედავად პრეზიდენტის შეზღუდული უფლებებისა, მისი როლი და მანდატი მნიშვნელოვანია.

„შემცირებული პასუხისმგებლობების ფონზეც კი, პრეზიდენტს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მანდატი გააჩნია: წარმოადგინოს მოქალაქეები და ეროვნული მნიშვნელობის მქონე საკითხების ირგვლივ დისკუსიების წამოჭრას. ოპოზიციური პარტიები, ასევე აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტს აქვს შესაძლებლობა, მთავრობა დამატებით გააკონტროლოს და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ქვეყანა წარმოადგინოს“, — აცხადებს სადამკვირვებლო დელეგაცია.

ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში და **„რენდის კორპორაციის“** უფროსი მკვლევარი **უილიამ კორტნი** საქართველოში ხელისუფლებაზე ჩრდილოვანი გავლენის შესახებ საუბრობს. მისივე თქმით, პოლიტიკური პარტიების ცალკეული პიროვნებების გარშემო გაერთიანება ანაწევრებს პოლიტიკურ სპექტს.

„ეს არჩევნები უჩვეულოა. საკონსტიტუციო ცვლილებებმა პრეზიდენტის როლი შეამცირა, მიუხედავად ამისა დღევანდელმა პრეზიდენტმა ბევრი პატივისცემა დაიმსახურა. ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრი მოულოდნელად გადადგა. მდიდარი, ჩრდილოვანი დონორი განაგრძობს არაპროპორციულად დიდი პოლიტიკური გავლენის ქონას“, — აცხადებს კორტნი.

საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში 28 ოქტომბერს გაიმართება. ეს საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციით ბოლო არჩევნებია, როცა საქართველოს პრეზიდენტი პირდაპირი, საყოველთაო წესით აირჩევა.

ამერიკის ხმა

◎ ახალი ამბები გერმანიიდან

ნეონაცისტური აგრესია — მიზეზი და მოთხოვნა

ბოლო კვირის მანძილზე საქსონიაში მემარჯვენე რადიკალების გამოსვლებს ქონდა ადგილი, რომელსაც მოსახლეობამ მასობრივად დაუჭირა მხარი. ექსპერტების აზრით ეს იყო ყველაზე შემაშფოთებელი გამოსვლები ბოლო 30 წლის განმავლობაში. მოვლენის მიზეზი გახდა გერმანელი მოქალაქის სასიკვდილოდ დაჭრა.

ერთ-ერთმა სამართალდამცავმა მედიაში და სოციალურ ქსელებში გაასაჯაროვა ინფორმაცია მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების შესახებ, რომლის მიხედვითაც ერთი ერაყელი და ერთი ავღანელი ლტოლვილი იყო. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას ქალაქში არეულობა მოჰყვა. მემარჯვენე ექტრემისტები, მემარჯვენე პოპულისტური ორგანიზაცია — პეგიდა, გერმანიის ალტერნატივა(AfD), ხულიგნები ქუჩებში გამოვიდნენ, პარალელურად გაიმართა მემარცხენეთა საპროტესტო გამოსვლები ლტოლვილთა უფლებების დასაცავად, რამაც შეტაკება გამოიწვია საპირისპირო დაჯგუფებებს შორის, პოლიცია ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, ადგილი ქონდა მრავალრიცხოვან თავდასხმებს უცხოელებზე, მათი ქვეყნიდან გაძევების მოთხოვნებს. „ჩვენ ადოლფ ჰიტლერის ხულიგნები ვართ“, — გაისმოდა მიტინგებზე. პარტია „გერმანიის ალტერნატივა“, რომელიც პარლამენტში ხმების ოცდაათი პროცენტითაა შესული, მხარს უჭერს ნეონაცებს, აცხადებს გაზეთი „ველთი“. ქალაქში კი გრძელდება აგრესია და ძალადობა ემიგრანტების მიმართ. ეს ქემნიცში უცხოელების წინააღმდეგ გამოსვლის პირველი შემთხვევა არ არის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები, ექპერტები მემარჯვენე ექსტრემიზმში და მწერლები საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გუშინ ცდილობდნენ მომხდარის ახსნას და პრობლემის დარეგულირების გზების პოვნას.

ქვეყნის მასშტაბით საზოგადოება პოლარიზებულია, ერთი ნაწილისთვის პრობლემა ლტოლვილების მიერ ჩადენილი მკვლელობაა, სხვები თვლიან, რომ გერმანიის მარცხი მემარჯვენეების თავდასხმაა უცხოელებზე, ჟურნალისტებსა და მემარცხენეებზე. შაბათის ქემნიცის მორიგ გამოსვლებს პასუხად კვირა დღის ჰამბურგელი მემარცხენეების საპროტესტო 10 000-იანი დემონსტრაცია მოჰყვა. აქციის ორგანიზატორები არიან ლტოლვილთა დახმარების პოლიტიკის მხარდამჭერები — ეკლესია, საქველმოქმედო კავშირები, პროფკავშირი და სოციალ-დემოკრატები. გამომსვლელებმა მზადყოფნა გამოაცხადეს ხმელთაშუა ზღვით გამოსული ლტოლვილების მიღებაზე და ხელისუფლებას მოუწოდეს სამშობლოდან გაქცეულ ადამიანთა ზღვაში გადასარჩენად უფრო აქტიურად ჩაბმა. ათასობით ადამიანს ნარინჯისფერი ჟილეტები ეცვა ზღვაში დაღუპულთა ხსოვნის გამოსახატავად.

გერმანიაში დღეს 970 400 ლტოლვილი ცხოვრობს. მთელ მსოფლიოში ლტოლვილთა რიცხვმა ბოლო სტატისტიკით 68 მილიონს მიაღწია, აქედან ნახევარზე მეტი ბავშვები არიან. ათიდან ცხრა (85%) განვითარებად ქვეყნებსაა შეკედლებული, მხოლოდ 4% აღწევს ევროპას. სირიაში რვაწლიანი ომის შედეგად ექვსი მილიონი ქვეყნის შიდა ლტოლვილი და ხუთი მილიონი მეზობელ ქვეყნებში გაქცეული ადამიანია, სომალიიდან ხალხი შიმშილს გაურბის, სამხრეთ სუდანიდან — ომს. გაეროს სტატისტიკით ყოველი ორი წამში ადამიანს უწევს გაქცევა და საკუთარი სახლ-კარის დატოვება.

რუსუდან კანჯიანო,
ჩვენი საკ. კორ. გერმანია.

ანრი ოხანაშვილი: საპარლამენტო უმცირესობის მიერ მომზადებულ დოკუმენტს პოლიტიკური ელფერი აქვს

საპარლამენტო უმცირესობის მიერ მომზადებულ **დოკუმენტს აბსოლუტურად არაკომპეტენტური და პოლიტიკური ელფერი აქვს,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრმა ანრი ოხანაშვილმა განუცხადა. როგორც ის განმარტავს, მათ აქვთ მკაცრი კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებასაც უწყებებს დაავალებენ.

„ჩვენ გვინდოდა შეგვემუშავებინა დოკუმენტი, რომელიც იქნება ობიექტურ რეალობაზე დაფუძნებული და რომელიც სამართლებრივად იქნება დასაბუთებული. რა თქმა უნდა, ჩვენ დავადგინეთ ხარვეზები და ამ ხარვეზებმა იქონია გავლენა მტკიცებულებათა ხარისხზე. ჩვენ კომისიის მუშაობის ფარგლებში გამოვკვეთეთ, რომ არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა შესაბამისი უწყებების მხრიდან საზოგადოებასთან. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მკაცრი რეკომენდაციებიც, რომელთა შესრულებასაც დავავალებთ კონკრეტულ უწყებებს“, — განაცხადა ოხანაშვილმა.

ზაზა სალარიძე: გონს მოეგეთ... სისხლს დავღვრი!

მოკლული მოზარდის, **დათუნა სარალიძის მამა ხელისუფლებას მოუწოდებს, გონს მოეგოს და მისი შვილის მკვლელობის საქმე დროულად და ობიექტურად გამოიძიოს.** ზაზა სარალიძე საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მმართველი გუნდი პროცესის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას ისევ ისე ცდილობს, როგორც ამას აქციების პერიოდში აკეთებდა. სარალიძე აქციების განახლებასაც არ გამორიცხავს:

„10 სექტემბრამდე, არ მოხვალთ ჭკუაზე? სხვა ხელისუფლება გააგრძელებს ამ საქმის გამოძიებას. ჩემს მოკლულ შვილს არ აინტერესებს თქვენი პოლიტიკა. აწი ხალხმა ზუსტად ის თქვას რაც უნდა, რომ ზაზა სარალიაძემ პოლიტიკური განცხადებები დაიწყო. ამის გულისთვის სისხლს დავღვრი და არ გაპატიებთ“, — განაცხადა გუშინ სარალიძემ.

ქალიან იაფად იყიდება საქართველო!

ქართული რბილი კლიმატი რუსული ხისტი პოლიტიკის წინააღმდეგ - რა იზიდავთ რუს ინვესტორებს საქართველოში

თბილისი-მოსკოვს შორის არსებული რთული ურთიერთობა რუსებს ხელს არ უშლის, საქართველოში უძრავი ქონება შეიძინონ. ყიდვას სტიმულს აძლევს ქვეყნის კარგი კლიმატი, ხელსაყრელი ფასები და ფართო საინვესტიციო შესაძლებლობები.

ამის შესახებ რუსული გამოცემის „Деловой Петербург"-ის მიერ ნატალია ბურკოვსკაიას ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი.

„არის რამდენიმე მიზეზი, რატომ უნდა ჩაიდოს თანხები საქართველოში უძრავი ქონების სფეროში, განსაკუთრებით დღევანდელ სიტუაციაში: კერძო პირებისათვის უძრავი ქონების საყიდლად გადასახადები არაა, გარიგებები სწრაფად სრულდება, ნებადართულია ბანქოს სათამაშო ბიზნესი, საქართველოს უვიზო რეჟიმი აქვს მსოფლიოს 100 ქვეყანასთან, აქტიურად ვითარდება ტურიზმი, მსოფლიოში განთქმულია ქართული სამზარეულო და მისი გასტრონომიული მრავალფეროვნება, საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა ინვესტიციების ჩადების თვალსაზრისით", — ამბობს დეველოპერული კომპანია ORBI Group-ის გენდირექტორი **ირაკლი კვერღელიძე** გაზეთ „Деловой Петербург"-ის კორესპონდენტთან საუბარში. იგი ხაზს უსვამს, რომ კერძო საკუთრების უფლება ქვეყანაში წმიდათაწმიდაა, განსაკუთრებით არის კანონით დაცული და არანაირი პოლიტიკური ასპექტი მასზე არ მოქმედებს. გარდა ამისა, საქართველოში არ არის გადასახადი კაპიტალის მატებაზე, სიმდიდრეზე ან მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე, საგადასახადო კოდექსი კი კომპანიებს საშუალებას აძლევს ზარალის გამო მოგების გადასახადების გადახდა ათი წლის ვადით გადაიტანოს.

საქართველოში ცხოვრება, ევროპასა და რუსეთთან შედარებით, საკმაოდ იაფია. თანხის ჩადების ყველაზე პოპულარული სახეა საკურორტო უძრავი ქონება, რომელიც შეიძლება მართოს როგორც მფლობელმა, ასევე დამქირავებელმა კომპანიამაც. **„უცხოელები ყველაზე ხშირად საცხოვრებელ სახლებს ბათუმსა და თბილისში ყიდულობენ. ეს, როგორც წესი, საკურორტო უძრავი ქონებაა, დროებითი საცხოვრებელი ბიზნესის წარმოებისთვის ან ე.წ. „სათადარიგო აეროდრომი",** — განმარტავენ ORBI Group-ის ექსპერტები.

ბათუმის ახალმშენებლობებში 60 კვადრატულმეტრიანი საცხოვრებელი ბინა „შავი კარკასით" შეიძლება 30 ათას დოლარად შეიძინოთ, ხოლო ზღვის ან მთების პანორამით - 45 ათასად. ზღვიდან უფრო მოშორებით 40 კვ.მ. ბინა — 30 ათასად.

ზამთრის სპორტის სახეობათა მოყვარულებს საცხოვრებელი ფართის ყიდვა გუდაურში შეუძლიათ, თუმცა იქ შეთავაზება მაინცდამაინც ფართო არ არის — კვადრატული მეტრს 1400 დოლარზე იაფად ვერ იყიდით. ამასთან, სამაგიეროდ, უძრავი ქონებაში დახარჯულ თანხას მალე აანაზღაურებთ: სეზონის დროს დამქირავებელი უფრო მეტია, ვიდრე შემთავაზებელი.

კიდევ ერთი უპირატესობა საქართველოში უძრავი ქონების შეძენის თვალსაზრისით: თქვენ იქ ბინადრობის უფლება ძალზე იოლად შეგიძლიათ მიიღოთ — საკმარისია მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაში დააბანდოთ 110 ათასი დოლარი ან იყიდოთ უძრავი ქონება 35 ათას დოლარად.

საქართველოს საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2012-2016 წლებში რუსეთის მოქალაქეებმა 18 ათასი ობიექტი შეიძინეს, ანუ მათ წილზე მოდის უცხოელებზე გაყიდული საცხოვრებელი ბინების 53%.

„DP.RU"(**რუსეთი**)

როდემდე უნდა იყოს მომხმარებელი ასე დაუცველი?

ბაზარი ვერაფერს ვერ არეგულირებს!

„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ აქვს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ამიტომ მომხმარებელი იძულებულია, თავი ჩაღუნოს და არსებულ უსამართლობას შეეგუოს".

სხვა ყველაფერთან ერთად, ჩვენ მომხმარებლებიც ვართ და უფლებები გაგვაჩნია. ეს უფლებები ხშირად ირღვევა და გამართული კანონმდებლობის უქონლობის გამო, მათზე სათანადო რეაგირებასაც ვერ ვახდენთ. როგორც სხვა სფეროებში, აქაც ევროკავშირთან მზარდი ინტეგრაცია უნდა დაგვეხმაროს, რათა კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან ერთად საზოგადოების ცნობიერებაც ამაღლდეს და ახლებური ცხოვრება დავიწყოთ.

მანამდე, დრო გადის და ჩვენ ერთი და იმავე სამწუხარო წრეზე ვტრიალებთ. კანონმდებლობის რეალურად ამოქმედების, გამკაცრების გარეშე სიტუაცია არ იცვლება. თავდაპირველად, მოვუსმინოთ ადამიანებს, ვინც ამ სფეროს გაუმართაობა კიდევ ერთხელ საკუთარ ტყავზე გამოსცადა.

გიორგი იველიძე ყბადაღებული გარე ვაჭრობის მომხრე ნამდვილად არ არის, რადგან მისივე თქმით, იქ გამოფენილი, მათ შორის მალფუჭებადი პროდუქცია (თევზი, ხორცი, ყველი და ა.შ.) წარმოუდგენელი ანტისანიტარიის ბუდეა, სადაც ნებისმიერი ადამიანი შეიძლება მოიწამლოს და დასტაქრების იძულებითი მეთვალყურეების ქვეშ აღმოჩნდეს. მაგრამ მისივე დაკვირვებით, ეს მარტო „კლასიკური" გარე ვაჭრობის პრობლემა არ არის, რადგან მალფუჭებადი პროდუქტი ასევე ღიად ბაზრობების შიდა ტერიტორიებზეც იყიდება. სამაგალითოდ, მას ნავთლუღისა და ვაგზლის ბაზრობების კრიტიკული რეალობა მოჰყავს:

„ბაზრობების ე.წ. შიდა ტერიტორიაზე (რომელიც გარეგნულად გარე ვაჭრობას არ გულისხობს) ღია ცის ქვეშ იყიდება სხვადასხვა წარმოშობის რძის პროდუქტი, ხორცეული, თევზი და ა.შ. აღარაფერს ვამბობ კამფეტებსა და ნამცხვრებზე (ზოგადად ტკბილეულზე), რომელიც ასევე იქ ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე, ქუჩის მტვერსა და ბუქში იყიდება. არაერთხელ ვთხოვე პირადად გამყიდველებს, რომ ტკბილეული, ჩურჩხელები და მსგავსი პროდუქცია მაინც დამცავი მარლით დაეფარათ (მყიდველიც მოგემატებათ-მეთქი), მაგრამ, ნურას უკაცრავად, ყურსაც არ იბერტყავენ. ამიტომ კონტროლი აქაც გასამკაცრებელია, რათა ყოველდღიურად ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობა რისკის ქვეშ არ იდგეს".

გია გიგინეიშვილი კახეთის ერთ-ერთი მთისძირა სასტუმროს რესტორანში ისე მოიწამლა, რომ გონება დაკარგა და კინაღამ გრძელ გვირაბში ამოყო თავი, რომლის ბოლოშიც ამბობენ, რომ მკრთალი სინათლე ბჟუტავს: **„იმ სასტუმროს არ ვასახელებ, რადგან პერსონალს შევპირდი, რომ ფაქტს არ გავახმაურებდი, ოღონდ კი სათანადო ზომები მიეღოთ. მოკლედ, ჩავედი სასტუმროში და საღამოს რესტორანში ვივახშმე. მგელივით დამშეულმა მხოლოდ ბოლოს მივაქციე ყურადღება, რომ „შვედური მაგიდის" ერთ-ერთ კერძს, ცოტა არ იყოს, სიმჟავის გემო ასდიოდა. დიდად ყურადღება არ მიმიქცევია იქამდე, სანამ შუაღამისას არ გამეღვიძა ძლიერი გულისრევის შეგრძნებით. სწრაფად ავდექი საწოლიდან, ტუალეტამდე ვერ მივაღწიე, ისე მოწყვეტით გავიშლართე...**

გამომაფხიზლა თანაოთახელის შიშნარევმა წინადადებამ, სასწრაფო დახმარებას ხომ არ გამოვუძახოო. არამეთქი, — რის ვაი-ვაგლახით ავდექი და ტუალეტისკენ გავლასლასდი.

იმ ღამით კიდევ ერთელ გადავრჩი და მეორე დილით პერსონალს დაველაპარაკე — ვაჩვენე, აი, ამა და ამ პროდუქტმა მომწამლა, ეტყობა, დაძველებულია და ყურადღება მიაქციეთ-მეთქი. მადლობებად „დაიღვარნენ" და იმედია, იმ სასტუმროში მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება. მე კი იმავე დილით მანქანაში დავჯექი და თბილისისკენ გამოვქანდი".

ჰენრი ბუხრიკიძე ყოველდღიურად მობილურ ტელეფონზე შემოსული ათეულობით გზავნილით არის შეწუხებული. მისი თქმით, ვალდებული არ არის, რომ წლობით სხვადასხვა კომპანიის საინფორმაციო-სარეკლამო ტყვეობაში იცხოვროს: **„ამისთვის სპეციალურად იუსტიციის სახლში მივედი და ოპერატორებს ვთხოვე, რომ ჩემი პირადი მონაცემებიდან მობილურის ნომერი ამოეგდოთ. მიპასუხეს, რომ ეს ამ საქმესთან არაფერ შუაშია და „ესემესები" ჩვენც მოგვდისო. თავი როგორ დავაღწიო-მეთქი. ყველა „მესიჯს" ბოლოში გამორთვის კოდი მოყვება და მიმართეო. რამდენიმეზე გამოვიყენე, მაგრამ უშედეგოდ, უარის მიუხედავად იმავე კომპანიის გზავნილები მაინც მომდის".**

ამ პრობლემებთან დაკავშირებით ჩვენი პირველი რესპონდენტი „მომხმარებელთა ფედერაციის" თავმჯდომარე **მადონა კოპიძეა:**

— ერთადერთი სფერო, რომელიც საქართველოში დაცულია, სურსათის უვნებლობაა. რადგან არსებობს სახელმწიფო სტრუქტურა, სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია, რომ ქვეყანაში უვნებელი სურსათი გაიყიდოს.

ყველა დანარჩენი სფერო სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე მიტოვებულია. ამას ისიც ემატება, რომ საქართველო, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არა აქვს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. აქედან გამომდინარე, მომხმარებელი დღემდე დაუცველი რჩება.

თუმცა არსებობს კანონპროექტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტთან ერთად შექმნა. კანონპროექტი პარლამენტში წარდგენილია, ორი მოსმენით გავიდა და დღეს, რატომღაც, თაროზე შემოდებულია. მას საბოლოო სახეც მიცემული არა აქვს.

ამიტომ საქართველოში მომხმარებელს სასამართლოს გარდა არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, რომ საკუთარი უფლებები დაიცვას.

— კანონის მიღებას ხელს რა უშლის?

— კანონს ბიზნესგაერთიანებები ეწინააღმდეგებიან. ამ დროს, მასში ერთადერთი ის არის გათვალისწინებული, რომ მომხმარებელი არ უნდა მოატყუონ და შეძენილ საგანზე ან პროდუქტზე სრულყოფილი ინფორმაცია ქართულ ენაზე (კონსტიტუციურ ენაზე) მიაწოდონ, რათა მომხმარებელმა სწორი არჩევანის გაკეთება შეძლოს.

— ამ შემთხვევაში ბიზნესგაერთიანებების პოზიცია რამდენად ლეგიტიმურია?

— კეთილსინდისიერი ბიზნესი ამას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. პირიქით, მომხრე უნდა იყოს, რადგან ეს ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს. ასევე პროდუქციის მიმართ მომხმარებლის ნდობას აამაღლებს.

— რა შედეგს იწვევს ის, რომ სურსათის გარდა სხვა სფეროები პრაქტიკულად არ რეგულირდება?

— დაუცველობას იწვევს. მომხმარებელმა შეიძლება განიცადოს ეკონომიკური ზარალი და თანხა ისეთ ნივთში ან მომსახურებაში გადაიხადოს, რომელიც მის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

— პრობლემის აღმოფხვრის გზას რაში ხედავთ?

— საშუალება ის არის, რომ მომხმარებელს უნდა შეეძლოს, პოზიციები გაიმყაროს, საკუთარი თავი დაიცვას. მოქალაქე სხვადასხვა კანონებში მიმოფანტულ მომხმარებელთა უფლებების შესახებ თავებს არ უნდა ეძებდეს, ერთიანი კანონი უნდა არსებობდეს, რომელშიც გარკვევას შეძლებს და, ეცოდინება, რა გააკეთოს, თუკი მისი უფლებები დაირღვევა.

— საზოგადოების დამოკიდებულება როგორია?

— საზოგადოების დამოკიდებულება უარყოფითია, რადგან ვიმეორებ, ერთადერთი ბერკეტი, რომელიც მომხმარებელს დარჩენილი აქვს, ეს არის სასამართლო. მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მომხმარებელმა ადვოკატი უნდა აიყვანოს და სასამართლოს ბაჟი გადაიხადოს, ეს კიდევ თანხებთან არის დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე, მომხმარებელი უბრალოდ იძულებულია, თავი ჩაღუნოს და არსებულ უსამართლობას შეეგუოს.

— რამდენად უწყობს ხელს საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება ამ სფეროში ვითარების გაუმჯობესებას?

— ასოცირების ხელშეკრულება პირდაპირ ითხოვს, რომ ქვეყანაში მომხმარებელი დაცული იყოს და არსებობდეს კანონო მომხმრებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

შავლეგ ბერიძე

ცეკვით გაშიშვლებული ნარკო-პოლიტიკა

ზურაბ ჯაფარიძეს ფსიქიატრიულში ეპატიჟებიან!

ერთი წლის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „თეთრი ხმაური, რომელიც შავი დუმილით მთავრდება“. მას შემდეგაც ძალიან ბევრი მასალა დაიბეჭდა იმ ჭირის შესახებ, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შემოსული მტრის ნაცვლად შემოიპარა საქართველოში და ნელ-ნელა, სიამოვნების ბურუსში გახვეული ახალგაზრდები სასაკლაოზე ცეკვითა და ე.წ. ელექტრონული მუსიკის თანხლებით გაისტუმრა.

უამრავი საშინელი ფაქტი გავიგეთ ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში. უამრავი ოჯახის გაუბედურების, დასრულებული სიცოცხლისა და მომავლის მომსწრენი გავხდით. გავხდით, მაგრამ რა გავაკეთეთ?

მივიღეთ ნარკობარიგების, მათი ლობისტებისა და მათი მონების ე.წ. პროტესტი ჯანსაღი ცხოვრების წინააღმდეგ. მივიღეთ არარეალური და ჩამოუყალიბებელი ნარკოპოლიტიკა, რომელიც შექმნილია არა იმ გამოწვევების დარეგულირებისთვის, რაც დღეს საქართველოშია, არამედ იმ ხალხის მადის დაკმაყოფილებისკენ, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდიათ ჩვენი შვილების სიცოცხლე და მათი ჯანსაღი მომავალი.

ორი აზრი არ არის იმაზე, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია მართლაც კარგი ნაბიჯია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვისაც მისი მოხმარება სურდა, უმკაცრესი კანონის და უმკაცრესი სახელმწიფო რეჟიმის შემთხვევაშიც მოიხმარდა და ეს აღარ იქნება გარკვეული საჭიროებისთვის სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიების მიზეზი.

სამწუხაროდ, არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და რაც, მიუხედავად ფართომასშტაბიანი პიარ-კამპანიისა, არ ხორციელდება და ფაქტობრივად მთელი პიარ-კამპანია იმის ნაცვლად, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისკენ იყოს მიმართული, ნარკოტიკების რეკლამას ემსახურება.

1. რეკლამაა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ფაქტობრივად დაადგინა, რომ მარიხუანას მოხმარება კონსტიტუციურია და აქედან გამომდინარე ყველასთვის შესაძლებელია.

2. პიარ-კამპანია მხოლოდ ზოგადი ფრაზებითა და ლოზუნგებით შემოიფარგლება და ახალგაზრდებში მარიხუანას მოხმარების გავრცელების პრევენცია არ ხდება.

3. არ არის ნაფიქრი და არ არსებობს მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა პირველი ეტაპის გასავლელად, რადგანაც იმ პიარ-კამპანიის ფონზე, რაც ამ კანონს თან სდევდა, აუცილებლად იქნება აჟიოტაჟი და უამრავი ადამიანი, აქამდე არამწეველი ადამიანი აღფრთოვანებული და აღტაცებული მიეძალება ე.წ. „მსუბუქ ნარკოტიკს“.

იმ ხალხს, ვინც „ტარიანამოღებული“ იბრძოდა მარიხუანას დეკრიმინალიზაციისთვის, თავად არა აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, თუნდაც იმ ფრაზაში, რომელსაც ყველა ტელეშოუში ე.წ. „ცნობადი ტიპები“ ამაყად ისვრიან: — მე გამისინჯავს მსუბუქი ნარკოტიკი და, ნუ, მაინცდამაინც არ მომეწონა, ანუ თავიანთი ვითომდა „ქამინგ აუტით“ მარიაჟობენ.

ეს ფრაზა არის ფაქტობრივი აღიარება იმისა, რომ მათი გონების ნორმალურად მოაზროვნე მცირე კუნჭულში, არსებობს იმის განცდა, რომ ნარკოტიკის მოხმარება სირცხვილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იტყოდნენ — მე მოვიხმარ მსუბუქ ნარკოტიკს და ძალიანაც მსიამოვნებს!

2012 წელს საარჩევნო პროგრამის მიხედვით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ნარკოპოლიტიკის გადახედვას გეგმავდა. კერძოდ, პროგრამაში ეწერა, რომ გადაიხედებოდა „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის, აგრეთვე პირადი მოხმარებისთვის მისი მცირე ოდენობით შეძენის ან შენახვისთვის“.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იყო ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული რეგულაციების გადახედვის რამდენიმე მცდელობა, თუმცა საკითხის ბოლომდე გატანა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა.

ნარკოპოლიტიკა აქტუალური წელს, ე.წ. „თეთრი ხმაურისა“ და კლუბ „ბასიანის“ „მრევლის“ აქციების შემდეგ გახდა.

აქციების, რომლებიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ იმ ძალების მიერ იყო დაფინანსებული და ორგანიზებული, ვისაც ნარკოტიკების თავისუფლად გასაღება სურს.

დიახაც იმ ხალხის მიერ, რადგანაც ნარკოტიკის არც ერთი მომხმარებელი არ ამოიღებს ჯიბიდან „ზახოდის“ საყიდლად გაჭირვებით ნაშოვნ ფულს მიკროფონების და კარვების დაქირავებისთვის, ან თუნდაც, პლაკატის დახატვისთვის არ გადაიხდის.

ეს აქციები სხვადასხვა მოთხოვნებით „იფუთებოდა“, რომელთაგან ყველაზე მთავარი ლოზუნგი ნარკოტიკების ჩადების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ახალი კანონის თანახმად, შესაძლებელია გარკვეული რაოდენობის ნარკოტიკის ფლობა, მაგრამ შეძენა კანონით ისჯება. ე.ი. პოლიციელს შეუძლია დასვას სრულიად ლეგიტიმური შეკითხვა — სად შეიძინა დაკავებულმა ნარკოტიკის თუნდაც ის დაშვებული რაოდენობა?

სამწუხაროდ, ჩვენს გაყვითლებულ მედიას არც ერთხელ არ დაუსვამს ეს შეკითხვა და არც ერთ გაყვითლებულ „ექსპერტს“ არ უთქვამს, რომ თუნდაც აქედან გამომდინარე, პოლიციას ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია დაკავებულის დასჯა ნარკოტიკის შეძენის ბრალდებით.

ცხადია რომ პასუხი — ბიბლიოთეკაში ღიღინით მივდიოდი და უცებ დავინახე, რომ ქვის ქვეშ 70 გრამი მარიხუანა ეგდო, პოლიციელთა 99%-ს არ დააკმაყოფილებს.

არსებობს მედიის მიერ სერიოზული პრობლემის ყოვლად აბსურდული გაშუქება.

აბა გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რომელი ნარკომანი „გამოსწორდება“ „ცნობადი“ ტიპის მოკრძალებული „მოწოდების“ გამო? რომელი ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი დაიჯერებს ზღაპარს ნარკოტიკების სასარგებლო თვისებების შესახებ?

ამ რამდენიმე დღის წინათ როგორც იქნა, საღად მოაზროვნე ადამიანებმა ნორმალური კანონის შესაქმნელად საინიციატივო ჯგუფი შექმნეს და პირველი რეალური ნაბიჯიც გადადგეს.

საინიციატივო ჯგუფმა, რომლის წევრებს შორის არიან პარლამენტის ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ თავმჯდომარე გიორგი ლომია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძლიერი ქალი — ძლიერი სახელმწიფოს“ თავმჯდომარე ლალი მოროშკინა, ჯგუფის საზოგადოებრივი საბჭოს წევრი მანჩო გიორგობიანი, იურისტი და ყოფილი პარლამენტარი კობა დავითაშვილი, ეკონომისტი გიორგი ქებურია, ვეტერანთა კავშირის წევრი მალხაზ თოფურია, შოუბიზნესის სფეროს წარმომადგენლები ხათუნა ჟორდანია და ნინი ქარსელაძე, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტს მიმართეს. მათი აზრით, უნდა მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 30 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების ნიველირება, რომლითაც მარიხუანას მოხმარების ლეგალიზაცია მოხდა.

საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის, პარლამენტის ვიცესპიკერ ირმა ინაშვილის განცხადებით, საკითხს პარლამენტში ლობირებას „პატრიოტთა ალიანსი“ გაუწევს.

„დღეს მიდის აგრესიული პროპაგანდა, თითქოს ნარკოტიკი არ არის სახიფათო, თითქოს მის მოხმარებას არ მოჰყვება ნეგატიური შედეგები. ეს ასე არ არის. ნარკოტიკი არის სახიფათო ჩვენი მომავალი თაობისთვის. ყველა პარლამენტარი უნდა გაერთიანდეს, იმიტომ ვითხოვთ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომაც იგრძნოს, ის არ დგას სახელმწიფოსა და ერზე მაღლა. მთავარია, გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი იმ საზიანო შედეგებისგან, რაც დღეს უკვე სახეზეა. ჩვენი პოლიტიკური გუნდი იქნება ამ საკონსტიტუციო ცვლილებების ლობისტი პარლამენტში. ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ, როგორც პარლამენტის შიგნით, ისე პარლამენტს მიღმა, ვგულისხმობ საინფორმაციო კამპანიას“, — აცხადებს ირმა ინაშვილი.

ბუნებრივია, საინიციატივო ჯგუფს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდებიან, რომელთა სარდლობასაც სავარაუდოდ, ე.წ. „ბიბლიური თავისუფლების“ მოციქული ზურაბ ჯაფარიძე ითავებს და ჩვენი ზედმეტად ლიბერალური, სკანდალებისმოყვარული და შედეგის არმომტანი მედიის წყალობით, ნორმალურ ნარკოპოლიტიკას დაუპირისპირდება.

ზურაბ ჯაფარიძე იმიტომ, რომ „პრეზიდენტობის კანდიდატები“ ინარჩუნებენ სირაქლემას პოზას და თავიანთ „დაპირებებში“ ჯანსაღი მომავლის წესის დანერგვის ნაცვლად, შეუსრულებელ და აბსურდულ დაპირებებს იძლევიან. მათ ურჩევნიათ გარდაცვლილი ამერიკელი სენატორის ცხედართან აღვარღვარონ „ცრემლები“, ვიდრე ისაუბრონ ანაკლიაში ფეხბურთის სტადიონის ტოლ საკონცერტო მოედანზე შვიდი ბარიგას დაჭერაზე, რომელთაგან ხუთი ირანის მოქალაქე იყო; შეძენა-შენახვაზე დაკავებულ 15 ქართველ ახალგაზრდაზე, გარდაცვლილ 20 წლის ბავშვზე და „გაურკვეველი ნივთიერებების მიღების შედეგად“ საავადმყოფოში მიყვანილ უამრავ ახალგაზრდაზე და არსებულ ნარკოპოლიტიკაზე თავიანთი მკაფიო პოზიცია გამოხატონ.

მანჩო გიორგობიანი სოციალურ ქსელში მოკლედ განმარტავს საინიციატივო ჯგუფის მიზნებს. მის ამ განმარტებას მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

„ლეგალიზაციის წინააღმდეგ, დეკრიმინალიზაციისთვის ვიბრძვით და მოგიწოდებთ, ყველა დაგვიდგეთ გვერდში — ჩვენი მომავლისათვის!

კანონპროექტს ხელი მოვაწერეთ და პარლამენტში შევიტანეთ: კობა დავითაშვილი, ირმა ინაშვილი, ლარი მოროშკინა, ხათუნა ჟორდანია, ნინი ქარსელაძე, შოთა გლურჯიძე, რევაზ ბენიძე, გიორგი ქებურია, გია ნიშნიანიძე და გია ლომია. ზურაბ მახარაძე, ინგა ბიწაძე, ლუკა დავითაშვილი, თემურ ივანიშვილი მალხაზ თოფურია და მე, თქვენმა მონა-მორჩილმა მანჩო გიორგობიანმა... ასევე, დეკრიმინალიზაციის მხარდამჭერები და ლეგალიზების წინააღმდეგ არიან პროფესიონალები, ფსიქიატრი ხათუნა ჭყოიძე, ჰოლანდიაში მცხოვრები, ფსიქიატრ-ანალიტიკოსი, ექსპერტი ნინი ჭელიძე, ფსიქოლოგი (ნარკომანიის მიმართულება) — ნანა კობერიძე და ა.შ... დეკრიმინალიზაციის მომხრეა ნარკოლოგი ზურა სიხარულიძე და ძალიან ბევრი საღად მოაზროვნე და არამერკანტილური ნარკოლოგი (მერკანტილურებს ლეგალიზება უნდათ , რასაც ვერ ეღირსებიან.. ჩვენს გვერდით არიან ნარკოლოგები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები, ვინც თვლის, რომ ლეგალიზაცია დამღუუპველია, ხოლო დეკრიმინალიზაცია აუცილებელი!

ძალიან დაგვჭირდება თქვენი, საზოგადოების უდიდესი ნაწილის თანადგომა და აქტიურობა, სხვანაირად შესაძლოა, ეს ბრძოლა წავაგოთ! მალე დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას და ასევე, 15 სექტემბრის მერე გავმართავთ საპროტესტო აქციებსაც!

საბედნიეროდ, საღად მოაზროვნე ხალხი მხარში უდგას საინიციატივო ჯგუფს. მაგალითისთვის მოვიყვან **ჰოლანდიაში მცხოვრები ფსიქიატრ-ანალიტიკოსისა და ექსპერტის ნინი ჭელიძის მიერ** სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ემოციურ პოსტს, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

უკან დახევის და მოცდის დრო აღარ არის, ჩვენს უკან ჩვენგან გადასარჩენი საქართველოს მომავალი თაობა დგას, შეცდომის დაშვებას და სიჩუმეს არავინ გვაპატიებს! მივმართავ „გირჩელებს“: რადგან თქვენმა გურუმ გადაცემაში ბრძანა, რომ მარიხუანის მწეველებს მკურნალობა არ სჭირდებათ,მე მზად ვარ ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად გავემგზავრო ჰოლანდიაში, შევიყვანო ის ჰოლანდიის ერთ-ერთ კი არა, უპირველეს, სასამართლო ექსპერტიზისა და ფსიქიატრიის კლინიკაში, პიტერ ბანის ცენტრში და ჩემი ხელით გავუღო კრიმინალთა, რეციდივისტთა, სხვადასხვა ფსიქიკური დაავადებით ამ კლინიკაში განთავსებულ პაციენტთა კამერა-ოთახები და დაე, მათ თავად მოუყვნენ გირჩის თავს, რამ გამოიწვია მათი მოქმედება აფექტურ და აგონიურ მდგომარეობაში! გავასაუბრებ ჩემს კოლეგებთან, წავაკითხებ ავადმყოფობის ისტორიებს და ვინ იცის, იქნებ და დიაგნოსტიკასაც კი გამოვაკვრევინო ხელი! მერე იქედან ფსიქოზების განყოფილებაში გადავიყვან და მანამდე ვატარებ ოთხ სართულზე, სანამ არ მიხვდება, რომ პოლიტიკოსობა არ უშველის ფსიქიატრიულის კედლებში!

მოკლედ რომ ვთქვა, აღარ არის დალოდების დრო. ძვები უკვე შეგროვდა და ამიტომ ფრთხილად უნდა იყვნენ ისინი, ვინც ხელისუფლებაში, „ოღონდ არაფერი გავაფუჭო და არაფერს გავაკეთებ“, პრინციპით საძმიანობს, ვინც მონური მორჩილებით შეჰყურებს ე.წ. „სამოქალაქო სექტორის“ კაპრიზებს და შემდეგ ისინი, ვინც ჩვენი მომავლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ცდილობს გამდიდრებას.

გია გაბრიჭიძე

რა საშიშროება გველის დასავლეთიდან?!

„დასავლეთში განხორციელებულმა სექსუალურმა რევოლუციამ არაფრად ჩააგდო ყველა ის წარმოდგენა მამაკაცსა და ქალზე, რომელსაც ეფუძნებოდა ცივილიზაციის წესრიგი. მან თან მოიტანა ფემინისტური პოზიციების ფართო პალიტრა, რომელთა თანახმადაც, ქალებმა თავისთვის უნდა მოითხოვონ ისეთივე უფლებები სექსუალურ არჩევანზე და თავისუფალ თვითრეალიზაციაზე, რომლებიც ადრე მამაკაცურ სურვილს მიეწერებოდა. ეს მთლიანად არყევს მანამდე დომინირებული ეთიკის კონცეპტუალურ საფუძველს. რასაკვირველია, ყველა არ დაეთანხმება ქალური სურვილის ამდაგვარ გადმოცემას. მაგრამ, იგი გვიჩვენებს რაღაც ახალ განუსაზღვრელობას, ქალური იდენტურობის ფორმის მხრივ — პარალელურად — შესაბამის განუსაზღვრელობას მამაკაცთა შორის. შეუძლებელია, მივმართოთ სექსუალური ეთიკის საკითხს, თუ არ ჩავერთვებით ამ პრობლემებში“ (ჩარლზ ტეილორი, სეკულარული საუკუნე, ლონდონი 2007).

ეს ციტატა — პროფესორ ჩარლზ ტეილორის წიგნიდან — აშკარად გვიჩვენებს, თუ რა ზნეობრივ ჭაობში იძირება თანამედროვე დასავლეთი, რომლის ახსნასაც თავად წიგნის სახელწოდება გვთავაზობს — „სეკულარული საუკუნე“, ანუ ათეიზმის მოძალების საუკუნე. რა შორს არის აქედან თუნდაც XIX საუკუნე, როდესაც ვაგნერი „ტანჰოიზერს“ ქმნიდა, სადაც ხორციელი თავაშვებულობა დიდ ცოდვად ითვლებოდა. სულიერ გახრწნას ჰყავს თავისი სულიერი მამები, რომელთაგან „საპატიო ადგილს“ იკავებს ზიგმუნდ ფროიდი. აქ მიზანშეწონილად მიმაჩნია, მკითხველს გავაცნო დიდი ქრისტიანი ფილოსოფოსის დიტრიხ ფონ ჰილდებრანდის შეხედულება ფროიდზე, რომელიც წარმოდგენილია მის ინგლისურენოვან წიგნში **„გულმოწყალე წყევლა“** (1993), კერძოდ ქვეთავში, რომლის სახელწოდებაა **„ფროიდისტული შამანიზმი“**.

„ჩვენი დროის სხვა გავრცელებული გონებაჭვრეტები, — ბრძანებს ჰილდებრანდი, — ისეთივე მიკერძოებულნი არიან, მაგრამ — უფრო რთული მიზეზების გამო. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, აზროვნების პოზიტივისტური წესი მის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებში, როდესაც ობიექტის რეალობა ფასდება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში მის მეტაფიზიკურ რანგთან. საუბარია ფროიდისტებზე, რომლებმაც თავი „რეალისტებად“ გამოაცხადეს, რამდენადაც ისინი ცდილობენ ნებისმიერი სულიერი, რაციონალური არსი დაიყვანონ რაღაც სრულიად არასულიერზე და არარაციონალურზე. მათ სურთ, იმაში დაგვარწმუნონ, რომ ინტელექტის ყველაზე რთული სამუშაო დაიყვანება ასოციაციებზე, რომ სინამდვილეში სიყვარული წარმოადგენს სხვას არაფერს, თუ არა სექსს, რომ ზნეობრივი ღირებულებები — მხოლოდ და მხოლოდ ცრურწმენებია და ა. შ. გზას, რომელსაც, როგორც ისინი ფიქრობენ, მიჰყავს ინტელექტუალური პატიოსნებისაკენ, — ესაა ილუზიებისაგან განთავისუფლება. ისინი ცდილობენ, ამ გზაზე დააყენონ „არარეალისტები“, ე. ი. ყველა, ვინც ჯერ კიდევ არ იმყოფება მათი მოძღვრების ზეგავლენის ქვეშ. ასე, მათ თავი მიაჩნიათ ძალზე პატიოსნად, როდესაც აცხადებენ, რომ სამყაროს მხოლოდ ქვედა დონეებია რეალური; როდესაც დაჰყავთ ყოველივე სულიერი ურთიერთობები და მოტივაციები მექანიკურ პროცესებზე; როდესაც ართმევენ სამყაროს მის სულიერ შინაარსს; როდესაც დისკრედიტირებას უკეთებენ ყველა ობიექტურ ღირებულებას.

მაგრამ, სწორედაც საკითხავია, მართალია თუ არა სამყაროზე მათი კონცეფცია. თუკი მათი შეხედულება სამყაროზე ძირფესვიანად მცდარია, მაშინ აზრი არა აქვს მათ ქებას „პატიოსნების“ გამო, ხოლო ფაქტები გვამცნობენ, რომ მათი შეხედულება სამყაროზე ძირფესვიანად მცდარია. ეს ადამიანები შეპყრობილი არიან ზოგადი ცრურწმენებით. მთელი მათი დოქტრინა დაფუძნებულია იმის უარყოფაზე, რაც გვეძლევა უშუალო ცდაში, ფროიდისტები პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ მათ გააჩნიათ უნარი განჭვრიტონ ნივთის „უკანა მხარე“ და იმის დემონსტრირება მოახდინონ, თუ რას წარმოადგენს ის სინამდვილეში.

თუკი საკითხს დავსვამთ სამყაროს მიმართ ამ ცრურწმენის დამოკიდებულების წყაროებზე — შეხედულებაზე, მასზე „ქვემოდან“, სულიერი სფეროს უარყოფაზე ფსევდორეალიზმის საამებლად, — მაშინ მივალთ დასკვნამდე, რომ ამის მიზეზი სიამაყე და სულიერი სიზარმაცეა. აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებული სახის სიჯიუტესთან, როდესაც ადამიანი არსს იმდაგვარად და იმ მიმართულებით ეძებს, რომ თავად მოცემული არსის ბუნება მას მისი აღმოჩენის ნებას არ მისცემს: ეს ადამიანის სიჯიუტეა, რომელიც გარეგნულად უნაკლო ლოგიკით თავსმოხვეული აქსიომიდან თავიდანვე ასკვნის წინასწარგანსაზღვრულ შედეგზე. ასეთი ადამიანი უარს ამბობს, გაჰყვეს რეალობის ბუნებას. და არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვაქოთ პატიოსნებისადმი მიდგომა, სავსე მსგავსი ცრურწმენებით. ერთი სიტყვით, პატიოსნებისთვის შექებას იმსახურებს მხოლოდ ის, ვინც აღიარებს სულიერი სამყაროს აბსოლუტურ რეალობას“.



ეს შედარებით ვრცელი ამონაწერი ჰილდებრანდის წიგნიდან იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩვენში არა მარტო ფსიქოლოგები, არამედ ჩვეულებრივი მკითხველებიც აშკარად ეტრფიან ფროიდის დოქტრინას.

საკითხის მეტი ნათელყოფისათვის მივმართავ ჰილდებრანდის მეორე წიგნს „სიყვარულის არსს“ (შტუტგარტი, 1971). აქ ფილოსოფოსი **„პროლეგომენებში“** პირდაპირ ასე იწყებს: „სიყვარულის ადეკვატური შემეცნება, როგორც წესი, გართულებულია ზოგადფილოსოფიური ცრურწმენებით“. მისი აზრით, ეს გამოწვეულია „მოცემულობისადმი უნდობლობით, მისადმი არასერიოზული დამოკიდებულებით, იმისი რწმენით, რომ უფრო ჭეშმარიტი და მნიშვნელოვანი „მის მიღმა“ იმალება“. „მაგრამ მოცემულობის იგნორირება, — აგრძელებს ჰილდებრანდი, — „დამახასიათებელია, პირველ ყოვლისა, იმათთვის, ვისაც არ გააჩნია ინტერესი მეტაფიზიკისადმი, უფრო მეტიც, მიიჩნევს მას უაზრობად — მაგალითად, ზიგმუნდ ფროიდი“. „არსის ანალიზის ნაცვლად „ახსნა“, მოცემულობების იგნორირება კლასიკური სახით ვლინდება ფროიდის ცდებში განმარტოს სიყვარული, როგორც „სუბლიმირებული სქესობრივი ინსტინქტი“, ხოლო, ჰილდებრანდის აზრით, „სიყვარული და სქესობრივი ინსტინქტი წარმოადგენენ ორ, ძირფესვიანად განსხვავებულ მოცემულობებს, რომელთა ერთიმეორეზე დაყვანა ისევე შეუძლებელია, როგორც მწვანე ფერისა — წითელზე. მაგრამ, ეს შეცდომა მომდინარეობს არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეთოდის უკანონო გადატანით ინტელიგებლური არსებათა სფეროზე — იგი ავლენს სხვა ტენდენციასაც, სახელდობრ, დარწმუნებლობას იმაში, რომ ჭეშმარიტი რეალობისადმი გაღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი მოცემულობის მიღმა, რომელიც არის მხოლოდ „გამოვლინება“, აღმოვაჩენთ რაღაც სხვას, — თუკი ყოველ უშუალო განცდილს გავიგებთ როგორც რაღაც სხვის „ნიშანს“. აქ საკმარისია გავიხსენოთ „სიმბოლურის“ როლი ფროიდისტულ ფსიქოანალიზში“.

საინტერესო ის გახლავთ, რომ ფროიდით გატაცებული იყო გერმანელი მწერალი არტურ შნიცლერი, რომელიც შეეცადა, ფროიდის თეორია გადმოეცა მშვენიერი **„ნოველით სიზმრებზე“,** მაგრამ გასაოცრად, მწერლის დიდი ტალანტის გამო, ნოველამ სხვა ელფერი მიიღო: მისი მთავარი თემა გახდა სიყვარული და თავგანწირვა, სადაც სიყვარულმა მეტაფიზიკური ნიშნები შეიძინა. ეს კარგად გამოჩნდა არტურ შნიცლერის ნოველაზე შექმნილი,დიდი კინორეჟისორის სტენლი კუბრიკის ფილმში **„ფართოდ დახუჭული თვალები“,** რომელსაც კრიტიკამ XX საუკუნის ბოლო შედევრი უწოდა. ასე რომ, ერთი ებრაელის (ფროიდი) ყალბ თეორიას ორი ებრაელის შედევრი მოჰყვა. ვფიქრობ, არტურ შნიცლერის ნოველის შექმნა რაღაცით დაემსგავსა მოცარტის „დონ ჟუანს“. მუსიკის ისტორიკოსი ანტონ მაიერი ამბობს, რომ ოპერა ჩაფიქრებული იყო, როგორც კომედია და იგი ასეთად დარჩებოდა, რომ მოცარტის გენიას არ გადაელახა ყველა არტახი და არ მიეყვანა იგი ტრაგიკულის, მეტაფიზიკურის დონემდე, რითაც ასე მოიხიბლა ფილოსოფოსი სიორენ კირკეგორი.

მაგრამ განვაგრძოთ საუბარი იმ საშიშროებაზე, რაც დასავლეთიდან გველის. დასავლეთი განიცდის დიდ სულიერ დაცემას (რაზედაც მეტყველებს, თუნდაც სოდომ-გომორული ცოდვის დაკანონება, ერთნაირსქესიანთა ქორწინების სახით). დასავლეთის ამ სულიერ დაცემას წინასწარმეტყველებდნენ სხვადასხვა დროს განსხვავებული სახის მოაზროვნეები — რიუკერტი, დანილევსკი, ლეონტიევი, ფრობენიუსი, გოეთე, ნიცშე, მაგრამ, ვრცლად და ჩამოყალიბებული სახით, იგი მოგვცა ოსვალდ შპენგლერმა თავის ორტომიან ნაშრომში „დასავლეთის დამხობა“ (1918-22 წწ). რაზე მეტყველებს ეს წიგნი? თავის ისტორიულ-ფილოსოფიურ მთავარ ნაწარმოებში შპენგლერი ცდილობს, კაცობრიობის დიდი კულტურების შედარებითი ანალიზი მოახდინოს, მხოლოდ რომელთა ცხოვრებაშიც ხორციელდება „მსოფლიო ისტორია“. ყოველი მაღალი კულტურა თავის თავში წარმოადგენს ჩაკეტილ ორგანიზმს, რომლის განვითარება, — **ადამიანური სიცოცხლის ანალოგიურად, ოთხ ასაკობრივ საფეხურს გაივლის — ბავშვობის, ყრმობის, ვაჟკაცობისა და სიბერის**. საერთო ჯამში, რვა ისტორიულად მნიშვნელოვანი მაღალი კულტურებიდან შპენგლერი დაწვრილებით განიხილავს ორს — ანტიკურსა და დასავლურს. მაშინ, როცა „აისტორიული“ სამყაროს ანტიკური („აპოლონური“) გრძნობა გამოირჩევა აწმყოში ცხოვრების პასიური წარმართვით, წარსულსა და მომავალზე ყოველგვარი მიმართების გარეშე, „ფაუსტური“ (დასავლური) ადამიანი დაუოკებელი მისწრაფებით ცდილობს (მან კარგად იცის სივრცე — დროისმიერი კავშირის ძალის შესახებ) მსოფლიოს მიზნობრივ გარდაქმნას, მაგრამ, ისევე, როგორც ყოველი დიდი კულტურა, დასავლურიც გარდაუვალად მიექანება თავისი დამხობისაკენ და მე-19 საუკუნეში, სრულ დამხობამდე ცოტა ხნით ადრე, გადადის ცივილიზებული დეკადანსის მდგომარეობაში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას, დიდი ხნით ადრე შინაგანად ჩამკვდარი ფორმები ხელოვნურად შეინარჩუნოს. სხვა კულტურების მიმართ პარალელური ხედვის გათვალისწინებით, უკვე ძნელი არ იქნება ევროპული ცივილიზაციისათვის დარჩენილი მომავლის გამოთვლა. შპენგლერი მას წარმოგვიდგენს ძალზე შავბნელ სურათებში — კულტურის კვდომის სტადიაში, იგი გადაგვარდება ცივილიზაციად, რომელშიც დომინირებს ათეიზმი და მატერიალიზმი, აგრესიული ექსპანსია გარეთ, რადიკალური რევოლუციონიზმი, სციენტიზმი, ტექნიციზმი და ურბანიზაცია. ამავე დროს, ქვეყნებს შორის ხდება ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. **მსოფლიო იმპერიების შექმნას შპენგლერი განიხილავდა, როგორც კულტურის ტრაგიკულ დამხობას**.

დასავლეთის სულიერ დაცემაზე ასევე ღაღადებს გერმანელი მოაზროვნის, ფრიდრიხ გოგარტენის 1932 წელს გამოცემული წიგნი „პოლიტიკური ეთიკა“. მისი აზრით, დაიმსხვრა რწმენა „ჰარმონიული ჰუმანიტარული თვითკმაყოფილებისა“ (ამას გოგარტენი ამბობს პირველი მსოფლიო ომის საშინელებათა განცდის შემდგომ, რაც პარალელს პოულობს დამარცხებულ და გაუბედურებულ საქართველოსთან), გაქრა სიზმარი იმის თაობაზე, რომ ადამიანს ბოძებული აქვს სიცოცხლე, რომლის სუვერენული წარმართვა და ჩამოყალიბება ძალუძს; სიზმარი იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს სულიერი სისტემა უნარების, შესაძლებლობებისა და ნიჭის, რომელთა განვითარებაც ღირდა და რომლითაც იგი გახდებოდა სუვერენი, ბატონი თავისი თავისა და სამყაროსი. ქრისტიანული წარმოდგენები ცოდვაზე, შეწყალებაზე, მეორედ მოსვლაზე, ღვთაებრივ მრისხანებაზე უკვე ლახავენ და აზრს უკარგავენ ყოველგვარ „ჰარმონიულ ჰუმანიტარულ თვითკმაყოფილებას“.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთში მაინც დარჩა ქრისტიანული „ოაზისები“ (სერგეი ავერინცევი) მონასტრების სახით და ისეთი ავტორები, როგორებიცაა კარლ რანერი, ჰანს ურს ფონ ბალთაზარი, ვოლფჰარტ პანენბერგი და სხვა გამოჩენილი თეოლოგები, რომელთა წიგნებს, გერმანიაშიც კი ვერ იშოვნით ადვილად.

როდესაც გერმანიაში ვიმყოფებოდი 2003-2004 წლებში, ქ. კობლენცის უნივერსიტეტის მიწვევით, მქონდა ბედნიერება, მენახა ქალაქგარეთ მდებარე სახელგანთქმული მონასტერი „მარია ლაახ“. ამ დროს მორწმუნე გერმანელები შეშფოთებას გამოთქვამდნენ ცალკე ათეისტების ხულიგნურ გამოხდომებზე (სოფ. დიბლიხთან მათ ჯვარცმა დაუმსხვრევიათ) და ცალკე ქვეყნის ისლამიზაციაზე!

მრავალი ავტორის დასახელება შეიძლება, რომელთაც ნაწინასწარმეტყველები აქვთ დასავლეთის სულიერი კვდომა, თუნდაც XX საუკუნის გამოჩენილი მწერლის, ფრანსუა მორიაკის სიტყვებით რომ შევაჯამოთ: უკვე არათუ რწმენა, არამედ სიკეთესა და ბოროტებას შორის წაიშალა ზღვარი.

სამწუხაროდ, ჩვენში დამყარებულია დასავლეთის კულტი! და რაც მთავარია: დასავლეთისაგან ვიღებთ ყველაფერ მდაბალსა და მავნეს, რაც კი წარმოსადგენია. რასაკვირველია, ეს არ გახლავთ ერთადერთი საშიშროება, რაც დღეს საქართველოს ემუქრება, მაგრამ იგი ერთობ ძალუმია, რადგან ერის სულს აზიანებს.

ვიქტორ რცხილაძე

„ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲡ“...

ᲐᲛ ძველ და საკმაოდ გაცვეთილ გამოთქმას, ზოგიერთთა ძალისხმევით რომ სამარადისო დავიწყება არ ემუქრება, ფაქტია. „ზოგიერთი“ — აშშ-ის ადმინისტრაცია და პრეზიდენტია, რომელმაც ტელეკამერების წინ ხელი მოაწერა აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტს — „ჯერ არნახულს, არგაგონილს“.

716 მილიარდი დოლარი გაცილებით მეტია, ვიდრე წინა წლებში სამხედრო უწყებისთვის გამოყოფილი თანხები. მაგრამ მარტო ამ თანხას დასჯერდება აშშ-ის „უსაფრთხოება“?

თვით აშშ-ის მედიის მიხედვით, აღნიშნულს დაემატება 183 მილიარდი ფარული ხარჯები, მიმართული დაზვერვის სამსახურის და „შავი“ საერთაშორისო საქმიანობისთვის. გარდა ამისა, 88,9 მილიარდი საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციებისთვის. ჯამში აშშ საკუთარი უსაფრთხოებისთვის არა 716 მილიარდ დოლარს, არამედ 900 მილიარდს გამოიყენებს, თუმცა მანამდე თვით ფულის მოძიებაა საჭირო, როგორც ტრამპმა თქვა: **„ჩვენ დავამტკიცეთ ბიუჯეტი, მაგრამ მთავარი წინ არის — თანხების დროული მოძიება“.**

აშშ-ის ეკონომიკური სიძლიერე დღითი დღე დნება და ქვეყანა იძულებულია პირველობის შესანარჩუნებლად ძალა აირჩიოს პრიორიტეტად. ამაში ახალი არაფერია. აშშ-ის ეკონომიკა მუდამ იყო გამყარებული სამხედრო ძალით — 800 სამხედრო ბაზით — მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ავიამზიდებით, რომლებიც სისტემატურად აკონტროლებენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

და, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა შეიცვალა, ცხადია, არა აშშ-ის სასარგებლოდ. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს აშშ-ის ეროვნულმა შემოსავალმა თუ მსოფლიოს შემოსავლის 50% შეადგინა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის დროს — 40%, დღეს — მხოლოდ 23%-ია.

ერთმმართველობა მრავალმმართველობით იცვლება და ნაცვლად ლიდერი ამერიკისა, გვაქვს ტრიუმვირატი — აშშ, ჩინეთი, რუსეთის სახით. მათ გარდა, აქტიურობენ „ბრიკსის“ წევრი ქვეყნები, „დიდი ოცეული“, „ევროკავშირი“. აშშ-ს იმპერიის სტატუსის გარეშე არსებობა არ შეუძლია. სწორედ ამით არის გამოწვეული ავანტიურისტული ნაბიჯები, ის რომ დგამს ყოველდღიურად. ეს ქვეყანა ძნელად ეგუება ვითარებას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირიაშია შექმნილი. და არა მარტო. არ გაამართლა წინა ადმინისტრაციის პოლიტიკამ, მიმართულმა სირიის ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობისკენ.

აშშ-ის სპეცსამსახურები არასდროს ერიდებოდნენ ბინძურ თამაშს. სხვას არაფერს იმსახურებს თუნდაც ერთი მაგალითი — „ისლამური სახელმწიფოს“ — ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა. დღესაც კი მხარს უჭერს ის ამ ორგანიზაციის ფრაგმენტებს, რომლებმაც თავი მოიყარეს სირიის ქ.იდლიბში.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, იქ თავმოყრილი ტერორისტები დიდი პროვოკაციისთვის ემზადებიან — ქიმიური ბომბის აფეთქების ინსცენირებისთვის, რაც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს დაბრალდება. „თეთრი ჩაჩქანები“ — ტერორისტებთან დაახლოებული ორგანიზაციის წევრები ვიდეოფირზე გადაიღებენ „მსხვერპლს“ — ბავშვების სახით და მთელს მსოფლიოს მოსდებენ ასადის მორიგი მზაკვრობის ამბავს, რასაც მოჰყვება შურისძიება — აშშ-ის, ინგლის-საფრანგეთის თავდასხმა სირიაზე.

უკვე მერამდენედ აწყობენ მსგავს სპექტაკლს აშშ-ის სპეცსამსახურები. მიზანი ისევ და ისევ ძველია — ბაშარ ასადის ჩამოგდება, რუსეთ-ირანის გამოდევნა სირიიდან, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის შერყეული ავტორიტეტის გამოსწორება.

დასავლელი, მათ შორის, ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს რუსეთმა აჯობა, რომელმაც ორი წლის განმავლობაში დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ტერორიზმთან ბრძოლას მაშინ მოაქვს წარმატება, როდესაც „ქადას ორი ხელით ჭამ“ და არა მაშინ, როდესაც სიტყვით იბრძვი, ნაცვლად საქმისა. აშშ-ი და მის მიერ ტერორიზმთან ბრძოლისთვის შექმნილი კოალიცია — თითქმის 70 ქვეყნისგან შემდგარი, ომში, რუსეთის ჩართვამდე „იბრძოდა“, თუმცა უშედეგოდ.

ვითომ უშედეგოდ?

არამც და არამც. ამერიკის და მისი მოკავშირეების მიერ სირიის ომში მიღწეული შედეგი თვალშისაცემი იყო, სიტყვით — ტერორიზმთან ბრძოლა, საქმით — ტერორისტების გამოყენება ბაშარ ასადის ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად ტერორისტებმა დედაქალაქ დამასკოს მთელი რიგი რაიონები იგდეს ხელთ და რომ არა რუსეთის ჩართვა, სირია „ისლამური სახელმწიფოს“ ლუკმა გახდებოდა. დამასკოს გარდა ტერორისტები სირიის ტერიტორიის 70%-ს აკონტროლებდნენ.

დღეს სხვა ვითარებაა. სირიის ხელისუფლება აკონტროლებს ქვეყნის უმეტეს ტერიტორიას, გარდა ზოგიერთისა, სადაც ტერორისტები და მათი მფარველი აშშ-ის სამხედროები არიან გამაგრებული. იდლიბი სწორედ ასეთია. აშშ, რომელიც უკანონოდ იმყოფება სირიის ტერიტორიაზე, ყველაფერს აკეთებს რევანშისთვის. იდლიბის მომავალი პროვოკაციაც ამერიკული პროგრამიდანაა.

ამერიკელთა „დიდკაცურ-თავხედური“ მოქმედება თვალნათელია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც დიდთა ინტერესები იკვეთება. აშშ უმალ ამოქმედებს ეკონომიკური დასჯის მანქანას — სანქციების სახით, დოლარით მანიპულაციას, მედიის გამოყენებას თეთრის შავად წარმოსაჩენად და ა.შ.

ახალმა საუკუნემ გამოააშკარავა ჰეგემონი ქვეყნის პოლიტიკის სისუსტე, ამასთანავე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილის ნამდვილი პორტრეტი — ნებისმიერი ხერხით პირველობის შენარჩუნება, საკუთარი პროდუქციის სხვისთვის ძალით შეტენვა, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში — ეკონომიკური სანქციებით დასჯა და ა.შ.

აშშ არამარტო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უწესებს სანქციებს, საკუთარ მოკავშირეებსაც — ევროკავშირის, მექსიკა-კანადის, თურქეთის და სხვათა სახით. ვაშინგტონი ემუქრება თურქეთსა და ინდოეთს, სხვა ქვეყნებს მძიმე სანქციებით, თუ ისინი შეიძენენ რუსულ C-400-ის ანტისარაკეტო სისტემას.

მიზანი მისი მარტივია — თუ ვინმეს სურს იარაღის შეძენა, ვაშინგტონს უნდა მიაკითხოს და არა მოსკოვს, მიუხედავად იარაღის დახვეწილობის და ფასისა. C-400 სარაკეტო სისტემა ცნობილია, როგორც საუკეთესო მსოფლიოში, თანაც გაცილებით იაფი, ვიდრე ამერიკული, რაც თავისთავად უკარნახებს მყიდველს, რომელი შეიძინოს.

მსოფლიოს უპირველეს დემოკრატიად გამოცხადებული აშშ ყოველგვარი დემოკრატიულობისა და სამართლიანი კონკურენციის გარეშე ცდილობს, თავისი პოზიციის გატანას ევროპის გაზით მომარაგების საქმეში. რუსეთი რა ხანია („ცივი ომის“ პერიოდიდან დაწყებული) ამარაგებს ევროპას გაზით, რამაც მომხმარებელს დიდი შეღავათი მისცა.

50 წლის წინათ დაიწყო საბჭოთა კავშირმა ევროპის ქვეყნებისთვის გაზის მილსადენებით მიწოდება. ეს პრაგმატული ურთიერთობა, მიუხედავად პოლიტიკური აზრთა სხვაობისა, დღესაც წარმატებით გრძელდება, მაგრამ გაგრძელდება თუ არა — ძნელი სათქმელია, ხარბი ამერიკული პოლიტიკის გამოისობით.

აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი მკაცრად ილაშქრებს მშენებარე „ჩრდილოეთის ნაკადის“ წინააღმდეგ, რომელმაც გაზი უნდა მიაწოდოს ევროპის ქვეყნებს. ის ამბობს, რომ თუ ევროპა რუსული გაზის ნაცვლად არ გამოიყენებს ამერიკული ფიქალის გაზს, სანქციებს დაუწესებს იმ ქვეყნებს, რომლებიც მიიღებენ რუსულ გაზს.

აქაც ძალისმიერი პოლიტიკა, რომელსაც ახლო არ გაუვლია დემოკრატიასთან. ევროპამ უნდა მიიღოს ამერიკული გაზი — გაცილებით ძვირად, ვიდრე რუსული. არავითარი კონკურენცია, ამერიკული ბრძანების უყოყმანო შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკული სანქციებით „ტკბობა“.

ამერიკული „დემოკრატიის“ სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, განსაკუთრებით დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით საზღვარგარეთის მარში. ამერიკულ დემოკრატიას შეეწირა ერაყის მილიონამდე მოსახლე, არანაკლები დაიღუპა სირიაში, ლიბიაში, ავღანეთში, სხვაგან. უმძიმესი დარტყმა მიადგა აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკას. სირია-ერაყის დანგრეული ქალაქების შემყურეს ვერაფრით მოუვა თავში აზრი, რომ იქ ამ საუკუნეში გამოსწორდება ვითარება.

ასე იცის ნაქებმა ამერიკულმა დემოკრატიამ, რომელმაც ერთ დროს ეკონომიკური სიძლიერით ცნობილი უკრაინა ისე გააღატაკა, რომ აღარაფრის თავი აღარ აქვს. ამერიკულმა დემოკრატიამ ააღორძინა უკრაინული ფაშიზმი.

მიზანი? — რუსეთისთვის წყლის შეყენება, რუსეთზე გავლენის მოხდენა.

უდავოდ იბადება კითხვა — ვისი ეშინია აშშ-ს?

მოწინავეობის პრეტენდენტები ორია — რუსეთი და ჩინეთი. რუსეთს არ სურს მთელი მსოფლიოს პრობლემების საკუთარ თავზე აღება ისე, როგორც ამას საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა ადგილი. მას თავის საზღვრებთან არსებულ ქვეყნებზე სურს გავლენის მოპოვება. ანალოგიური პოზიცია უკავია ჩინეთს. აშშ-ს საწინააღმდეგო პოზიცია აქვს, რაც იწვევს მუდმივ დაპირისპირებას.

დასავლური სამყარო ისეა მოწყობილი, სიმართლე რომ კამათის საგანი ხდება. ძლიერი მუდამ თავს ახვევს სუსტს საკუთარ გადაწყვეტილებას, თუნდაც ის სუსტი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი იყოს.

ძლიერი ამერიკის პრეზიდენტს ყოველთვის შეუძლია მხარზე ხელი მოუთათუნოს საფრანგეთის პრეზიდენტს, დასამცირებლად ქერტლიც გადაუფერთხოს; გერმანიის კანცლერს ხელიც არ ჩამოართვას, უფრო მეტიც — სხვების თანდასწრებით შეჯოროს, რასაც ვერ გაუბედავს რუსეთ-ჩინეთის ლიდერებს, ვინაიდან მათ აშშ-თან თანაბარი სამხედრო ძალა აქვთ.

რაც დრო გადის, „მსუბუქი ძალა“ და ლიბერალური ფილოსოფია ადგილს უთმობს სიმკაცრეს, სამხედრო ზეწოლას, სიხისტეს, რასაც აშშ წარმატებით იყენებს. რომ არა აშშ 800 სამხედრო ბაზა და ე.წ. ფერადი რევოლუციების მეთოდიკა, არც არავინ შეიძენდა ამერიკულ ობლიგაციებს; არ ივაჭრებდა დოლარით. ამ საქმეში აშშ თუ ვინმესგან აწყდება წინააღმდეგობას — რუსეთ-ჩინეთია, დანარჩენს წინააღმდეგობის თავი არ აქვთ. ვინც წინააღმდეგია ის ხდება ცხელ-ცხელი სანქციების, ქიმიურ იარაღთან დაკავშირებული შეთხზული ზღაპრების სამიზნე.

ახალი სამხედრო ბიუჯეტით აშშ გვაბრუნებს ძლიერის „სიმართლეში“. ძლიერი ყოველთვის მართალია. არც რუსეთი და არც ჩინეთი არ დაუშვებენ ისეთ მსოფლიოს, სადაც ჰეგემონი მედიდურად დაუწყებს მათ ზემოდან ყურებას და აიძულებს გააკეთოს ის, რაც მას სურს.

სამხედრო ბიუჯეტის გაზრდა ნიშნავს გამალებულ შეიარაღებას, მოწინააღმდეგის მხრიდან თანაბრობის პრინციპებისთვის ბრძოლას. თანაბრობის დარღვევა სახიფათო რამაა, მით უმეტეს, ბირთვულ ეპოქაში.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲭᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲤᲐᲖᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

2018 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მესამე ფაზა ამოქმედდება. ინსპექტირება სავალდებულო იქნება ყველა ავტომობილისთვის, რომლის ძრავის მოცულობა 3,000 კუბური სმ ან მეტია.

ავტომობილი მოწმდება შემდეგ პარამეტრებზე: გამონაბოლქვი, სამუხრუჭე სისტემა, საჭის მექანიზმი, სავალი ნაწილები, საბურავები, ხილვადობა, ფარები, შუქამრეკლები და ელექტრომოწმობილობა. ტექნიკური ინსპექტირების გავლა შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით განთავსებულ ინსპექტირების ცენტრებში.

ავტოსატრანსპორტო საშუალებები პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარებიან მათი კატეგორიისა და რეგისტრაციის თარიღის (თვისა და რიცხვის) მიხედვით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მათ მიმართ გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები.

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესის საინფორმაციო ხელშეწყობის მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში შექმნილია ცხელი ხაზი (1484), რომელიც მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს 09.00 - დან 18.00 სთ-მდე.

ქოლ-ცენტრი ასევე იმუშავებს 29-30 სექტემბერს (შაბათ-კვირას) 10:00 - დან18:00 სთ-მდე.

თურქეთში ერთად, საქართველოში – ცალ-ცალკე?!



მუჰაჯირი აფხაზები არ ფიქრობენ, რომ ქართველები „ფაშისტები“ არიან!

სოფლები თურქეთში, სადაც ქართველები და აფხაზები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ

კავკასიოლოგმა ალეკო კვახაძემ ახლახან თურქეთში, კერძოდ, იქ არსებულ კავკასიურ სოფლებში იმოგზაურა, მათ შორის – აფხაზურშიც, აღმოაჩინა შერეული – ქართულ-აფხაზური სოფლები, ესაუბრა რიგით ადამიანებს, რომლებსაც პოლიტიკის მიღმა ცხოვრების შესაძლებლობა აქვთ. სამშობლოში ცოტა ხნის წინათ დაბრუნებულმა, მან შთაბეჭდილებები „აქცენტს“ გაუზიარა და გვსურს, მისი მონათხრობი მკითხველსაც გავაცნოთ.

ალეკო კვახაძე: ვიმყოფებოდი ქოჯაელისა და საქარიას პროვინციებში. ჩემს მიზანს წარმოადგენდა იქაური კავკასიური სოფლების, ძირითადად ქართულისა და ჩერქეზულის კვლევა. მსურდა, დამედგინა, როგორ თანაცხოვრობენ კავკასიელი ხალხები კავკასიის ფარგლებს გარეთ. მეორე მხრივ, ვაგროვებდი ენობრივ მასალას იქ მცხოვრები ჩერქეზებისა და ქართველებისაგან.

გარდა ქართველებისა და ჩერქეზებისა, მოვინახულე 5 აფხაზური სოფელი, მაგრამ ვინაიდან აფხაზური ენა არ ვიცი, ენობრივ მასალაზე მუშაობის შესაძლებლობა იმათ შემთხვევაში არ მქონდა.

– ყველაზე დასამახსოვრებელი რა იყო შენთვის ამ მოგზაურობიდან?

– ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმის აღმოჩენა, რომ თურქეთში კავკასიელი ხალხები ძალიან მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. განსაკუთრებით ეხება ეს აფხაზებსა და ქართველებს. თურქეთში არსებობს შერეული – ქართულ-აფხაზური სოფლებიც. მაგალითად, სოფელ ჩაქალიქში ცხოვრობს 3 ქართული კომლი. მათ იციან ქართული ენა, თუმცა აფხაზურადაც საუბრობენ. ძალიან ხშირია შერეული ქორწინებები. მათ ერთად უწევთ მუშაობა კომერციულ დაწესებულებებში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ.

ხანში შესულმა ადამიანებმა მიამბეს, რომ როდესაც იქ დასახლდნენ ქართველები და აფხაზები (მოგეხსენებათ, ქართველები თურქეთში აფხაზებზე გვიან გადასახლდნენ), გაძიძების პრაქტიკა არსებობდა: ქართველები აღსაზრდელად აფხაზებთან უშვებდნენ შვილებს. ეს დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლოს – მე-20 საუკუნის დასაწყისში ხდებოდა.

– ცნობილია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებს აქვთ ურთიერთობა თურქეთში არსებულ აფხაზურ დიასპორასთან. მათი პოლიტიკური შეხედულებები არ ახდენს გავლენას თურქეთში მცხოვრებ აფხაზებზე?

– ძირითადად სოფლები მოვინახულე, თუმცა მანდაც გავიცანი ადამიანები, რომლებიც პერიოდულად სტუმრობენ აფხაზეთს. მათში ქართველების მიმართ აგრესია არ

იგრძნობოდა. მაგალითად, როდესაც გაიგეს, რომ საქართველოში მცხოვრები ქართველი ვარ, ტელეფონი ამოიღეს და ბათუმში გადაღებული „სელფები“ მაჩვენეს, ძალიან ბევრს აინტერესებდა საქართველოდან მანქანების ექსპორტირების საკითხები და ა.შ. მათ ძალიან უნდათ საქართველოსთან ურთიერთობა.

– საყოფაცხოვრებო დონეზე ურთიერთობის სურვილი იგულისხმება თუ საქართველოს წიაღში ცხოვრების?

– არა, საქართველოს წიაღში თანაცხოვრებას ისინი არ განიხილავენ. თვლიან, რომ საქართველო და აფხაზეთი „მეზობლები უნდა იყვნენ“, თუმცა არ ამბობენ, რომ „ქართველები არიან ფაშისტები“, „ქართველებმა აფხაზეთში შეუშვეს ფაროსანა მოსავლის გასანადგურებლად“ და სხვა მსგავს ლეგენდებს, რომელიც სადღეისოდ აფხაზეთშია გავრცელებული დე ფაქტო ხელისუფლების მონდომებით. ერთ-ერთმა აფხაზმა, რომელიც თავად აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში გათვითცნობიერებული იყო, მითხრა, „ენგურჰესი არის შეხების ის ერთადერთი წერტილი, სადაც ქართველი და აფხაზი თანამშრომლობენ და მსგავსი წერტილები ბევრი უნდა იყოსო“. ეს ძალიან დასამახსოვრებელი იყო. მოკლედ, აფხაზეთისგან განსხვავებით, მათზე რუსული პროპაგანდის ზემოქმედება მაღალი ხარისხის არ არის და გაცილებით საღად აფასებენ მოვლენებს.

საინტერესოა, რომ იქ აღმოვაჩინე ბევრი საზიარო გვარი. მაგალითად, „პაპავა“ ქართველებშიც გვხვდება და აფხაზებშიც. იგივე „მარღანია“, აფხაზურად – „მაანი“. მათ იციან, რომ მათი გვარის ერთ-ერთი განშტოება საქართველოში არსებობს.

– პოლიტიკურ თემებზე გქონდათ საუბარი? მაგალითად, აფხაზეთის, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ სამომავლო პერსპექტივებზე...

– მაქსიმალურად ვერიდებოდი პოლიტიკურ თემებზე საუბარს. საერთოდაც, ქართული დიასპორის წარმომადგენლებისგან იყო რეკომენდაცია, აფხაზურ სოფლებში არ ჩავსულიყავი. მათ ჰქონდათ შეხედულება, რომ საუბარი უშედეგო იქნებოდა და შესაძლოა, აგრესიასაც შევხვედროდი, მაგრამ რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა.

აფხაზებთან კომუნიკაციის დროს მაქსიმალურად ვუფრთხილდებოდი თითოეულ სიტყვას, ვერიდებოდი პოლიტიკური თემების ხსენებას, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თავად, საკუთარი ინიციატივით დაიწყეს პოლიტიკაზე საუბარი. ერთ-ერთმა ასეთი რამ მითხრა:

„აფხაზეთს ორი ვარიანტი აქვს: თუ საქართველო გვაღიარებს, სრულფასოვანი სახელმწიფო გავხდებით და საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვექნება, ხოლო, თუ არ გვაღიარებს, რუსეთი ყირიმის მსგავსად გადაგვყლაპავს და მის პროვინციად გვაქცევსო, ანუ თვლიან, რომ აფხაზეთი ჩიხურ მდგომარეობაშია. ამბობენ, რუსეთი არც ჩვენ გვეხატება გულზე, მაგრამ საქართველოს პოლიტიკის გამო იძულებულები ვართ, რუსეთთან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთო“.

– „საქართველოს პოლიტიკაში“ რა იგულისხმებოდა?

– არაღიარების პოლიტიკა და ის, რომ დღემდე ვთვლით აფხაზეთს ჩვენი ტერიტორიის ნაწილად, რომელიც სადღეისოდ რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

– აქვთ კი მოლოდინი, რომ ოფიციალური თბილისი ოდესმე აფხაზეთს აღიარებს?

– საქართველოს შიდა პოლიტიკის შესახებ მათ დეტალური ინფორმაცია არ ჰქონდათ, მაგრამ იციან, რომ თბილისი აფხაზეთს არ აღიარებს. ისიც იცოდნენ, რომ უშუალოდ ჩვენი – ჩემი და მათი პოზიციები ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ისინი მიესალმებიან ხალხთა შორის დიალოგს.

თურქეთში მცხოვრები ერთ-ერთი აფხაზი, რომელსაც ახლობლები ჰყავს აფხაზეთში (ისინი თურქეთიდან აფხაზეთში დაბრუნდნენ), მიყვებოდა, რომ იქ ძალიან რთული კრიმინოგენური ვითარებაა, რომ მეწარმეები დაუცველი არიან, რადგან ადგილობრივი კრიმინალები მათ წილებს სთხოვენ და ამიტომაც ბიზნესმენებს არანაირი სურვილი აღარ აქვთ, იქ საქმიანობა გააგრძელონ. ეს დაასახელეს ერთ-ერთ მთავარ მიზეზად და პრობლემად, რატომ არ ბრუნდებიან მასობრივად აფხაზეთში და აფხაზურ ეკონომიკაში რატომ არ ახორციელებენ ინვესტიციებს.

აჯიკაც აქვთ – „აჯიკა ჩაჩიანებისგან დევსწავლეთო“ (ჰენდექელი ქართველები აფხაზებს ჩაჩიანებს უწოდებენ).

– როგორც აღნიშნე, ფიქრობენ, რომ აფხაზეთი ჩიხურ სიტუაციაშია. თავად თუ ხედავენ გამოსავალს?

– ღრმა განხილვებში გასაგები მიზეზების გამო არ შევსულვარ. ისე კი ამბობენ, რომ აუცილებელია, ქართველებსა და აფხაზებს შორის ეკონომიკური და სხვა კონტაქტები გაღრმავდეს. ბევრი მიესალმება იმას, რომ აფხაზეთიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოდიან სამკურნალოდ, ავტომანქანების შესაძენად და ა.შ.. თქვეს, „ეს საქართველოს პოლიტიკის ნაწილიაო“, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ „ათიოდე წლის წინათ მსგავსი რამ, ხალხებს შორის მსგავსი ტიპის ურთიერთობა წარმოუდგენელი იყო“.

– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, აქვს აზრი დიასპორების რესურსის ათვისებას და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მცდელობას?

– ბუნებრივია, თურქეთში არსებულ დიასპორებთან მჭიდრო ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამას ადასტურებს ჩერქეზული დიასპორა. ჩერქეზებთან ვიზიტმა გამახსენა მათთან ურთიერთობის აღდგენის პირველი წლები – ისინი იგივე აფხაზეთის ომის გამო ერიდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლას. არგუმენტი ასეთი იყო: „არ გვინდა, აფხაზებს ვაწყენინოთო“. სადღეისოდ მსგავსი პრობლემები მოხსნილია. ვგულისხმობ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ჩერქეზებს.

რაც შეეხება თურქეთში მცხოვრებლებს, მაგალითად, მაქსუდიეს ჩერქეზულ კულტურის ცენტრში დამხვდა თბილისის ჩერქეზული კულტურის ცენტრის მიერ გამოცემული წიგნები. ამ ფაქტმა სასიამოვნოდ გამაოცა. ჩერქეზები ძალიან დადებითად არიან განწყობილი საქართველოს მიმართ. ამბობენ, „თქვენ აუცილებლად უნდა შერიგდეთ აფხაზებთან და ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთო“.

როგორც გითხარით, ვიყავი 5 სოფელში, თურქეთში კი 220-მდე აფხაზური სოფელია. რაც მეტი ქართველი ივლის ამ სოფლებში და ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ისაუბრებს ამ ადამიანებთან, მით უკეთესი იქნება საქართველოზე შთაბეჭდილების შესაცვლელად. საახალხო დიპლომატია ძალიან მნიშვნელოვანია. ვხედავთ, რომ უზარმაზარი თანხები იხარჯება შეხვედრებისთვის. აფხაზეთიდან ჩაჰყავთ მოქალაქეები ნეიტრალურ ტერიტორიებზე, მაგრამ შედეგები არ ჩანს. ამ დროს კი მინიმალური თანხებით არის შესაძლებელი თურქეთში გადასვლა და აფხაზური სოფლის ჩაიხანაში მისვლა, ამ ადამიანებთან დაჯდომა და საუბარი. მე ძირითადად ასე ვაკეთებდი. აფხაზურ სოფლებში საკონტაქტო პირი არ მყავდა.

– საკონტაქტო ენა რომელი იყო?

– თურქული. მე აფხაზურ ენას 6 თვის განმავლობაში ვსწავლობდი და ძალიან გაუკვირდათ, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური ისწავლება. კიდევ უფრო გაუკვირდათ, რომ ჩემი მასწავლებელი იყო ლეილა ავიძბა – თბილისში მცხოვრები აფხაზი. ეს ესიამოვნათ.

– მოკლედ, დანარჩენი საქართველოს მიმართ ინტერესი აქვთ, მაგრამ საინტერესოა, როგორია მათთვის საქართველო – პროგრესირებადი ქვეყანა თუ ომში ჩარჩენილი?

– მათთვის საქართველო ასოცირდება იაფ მანქანებთან, ზოგადად სიიაფესთან და ლამაზად გაკეთებულ ბათუმთან. ასეთი სტერეოტიპი არსებობს.

– საქართველოს არაოკუპირებულ ნაწილში სტუმრობა მათთვის შიშთან ასოცირდება?

– ადამიანებმა ბათუმში გადაღებული ფოტოები მაჩვენეს. რამდენიმემ იკითხა, საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე სტუმრობის შემთხვევაში მათი აფხაზური წარმომავლობის გამო პრობლემები თუ შეექმნებოდათ. ვუთხარი, რომ ეს სახიფათო არ იყო. გავარკვიე, რომ რამდენიმე მათგანს ნათესავები ჰყავს ბათუმელ აფხაზებს შორის.

დიანა მუსელიანი,
„აქცენტი“ .



„ეროვნული ერთობის“ ლიდერის გათავისუფლებას 1 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ ითხოვენ

„ეროვნული ერთობის“ ლიდერის გიორგი ჭელიძის ადვოკატები ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებას ითხოვენ. მათი განცხადებით, ჭელიძე აღკვეთის ღონისძიების გარეშე უნდა დარჩეს, ალტერნატივის სახით კი სასამართლოს 1000-ლარიანი გირაო შესთავაზეს.

დაცვის მხარე აცხადებს, რომ გიორგი ჭელიძეს იარაღის შენახვის უფლება გააჩნია და, შესაბამისად, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაწყებულიყო.

ცნობისთვის, „ეროვნული ერთობის“ ლიდერს გიორგი ჭელიძეს პროკურატურა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას – ცეცხლსასროლი და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვას ედავება, რაც 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ყაჩაღობაში ბრალდებულებს 10 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ყაჩაღობაში ბრალდებულებს 10 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, უწყება განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებულები – გ.მ. და თ.ა. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 2 იანვარს, დაახლოებით 23:50 საათზე, ქ.თბილისში, აკაკი ბაქრაძის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე განზრახი დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.მ. და თ.ა. ყაჩაღურად თავს დაესხნენ ზ.ბ-ს, სცემეს მას, დააგდეს ძირს და დანის გამოყენებით, სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით წაართვეს მობილური ტელეფონი, 500 ლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა გ.მ. იმავე დღეს, თ.ა. კი სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2018 წლის 6 იანვარს ქ.თბილისში დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე პირი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად გ.მ.-ს განაჩენთა ერთობლიობით 10 წლით, ხოლო თ.ა.-ს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მძარცველი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული გ.გ., ძარცვის ბრალდებით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რეხაში დააკავეს. **დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში 2001 წელს დაბადებულ ა.ბ.-

ს კუთვნილი მობილური ტელეფონი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნაძარცვი მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

როგორ ებრძვიან ოჯახში ძალადობას

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, 2018 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა. რისკის შეფასების ინსტრუმენტი მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის დეტალური წესები, რომლებიც დღემდე არ არსებობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა, არასამთავრობო სექტორთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის საექსპერტო და ფინანსური მხარდაჭერით შეიმუშავა.

სამართალდამცველები ახალი ინსტრუმენტის, კერძოდ, სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით ძალადობის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებასა და მოძალადისგან მოსალოდნელი რისკების უკეთ იდენტიფიცირებას მოახდენენ. ეს კი, თავის მხრივ, პოლიციელს სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და განმეორებითი ძალადობის აღკვეთის მიზნით, ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს.

რისკების შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე გამოვლენილი რისკის დონის შესაბამისად დაიგეგმება გამოცემული შემაკავებელი ორდერით მოძალადისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის პროცესი. თუ რისკი მაღალია, მოძალადის კონტროლი უფრო ინტენსიური იქნება.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, ასევე, შეიმუშავა დისტანციური სწავლების კურსი რისკების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებისა და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის საკითხებზე. კურსი ოჯახში ძალადობის მიმართულებით მომუშავე ყველა სამართალდამცველმა გაიარა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, არაერთი რეკომენდაცია და სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდა იმ პოლიციელებისთვის, რომლებმაც შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინონ ძალადობის ფაქტებზე“, – აღნიშნავენ უწყებაში.

ხულოში ხანძრის შედეგად ორი სახლი დაიწვა

ხულოში ხანძრის შედეგად დამწვარია ორი საცხოვრებელი სახლი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ცეცხლის სწრაფი გავრცელება ძლიერმა ქარმა გამოიწვია.

2 საცხოვრებელ სახლში ჯამში 250 კვ.მ. ფართობი დაიწვა. ასევე, დამხმარე ნაგებობები, საერთო ფართი 90 კვ.მ.-ია. ადგილზე მობილიზებული იყო 5 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულოგოდერძის მონაკვეთი) პროექტს (შემდგომში - პროექტი). პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **თამაზ შანთაძის (პ/ნ 61009007518)** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 54 კვ. მეტრის, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 23.06.38.644) მდებარე, ხულოს რაიონი, სოფელი განახლებაში და მასზე განთავსებული შენობანაგებობა ფართით 31.50 კვ. მეტრი (შემდგომში-საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **თამაზ შანთაძესთან (პ/ნ 61009007518)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს № 1-1/402 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ხულოს რაიონის, სოფელ განახლებაში, მდებარე მოქალაქე **თამაზ შანთაძის (პ/ნ 61009007518)** საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ბრძოლაი საკვირველი

თაობებს ემახსოვრებათ

ჩვენს დროში „ღირსეულ დამარცხებათა“ ისეთი კასკადი დახვავდა, გულშემატკივარს სიტყვათა აღნიშნული თანაწყობა უკვე ყელში ამოუვიდა და თანამემამულე სპორტსმენთა ასეთ ნაკაიკაცარს ერთგვარი ირონიით, უფრო სწორად — სარკაზმით ეგებება.

საბედნიეროდ, ვხვდებით გამონაკლისებსაც. ამჯერად ნიკოლოზ ბასილაშვილის მიერ უთანასწორო ბრძოლაში დადგმულ საჩოგბურთო სპექტაკლზე შევჩერდებით. დიახ, ბრძოლაზე, რომელიც ნიუ-იორკში აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალში რეიტინგის ლეგენდარულ ესპანელ ლიდერ რაფაელ ნადალთან მეორე მსოფლიო ომის დასრულების 73-ე წლისთავზე გაიმართა (ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ მილიტარისტულმა იაპონიამ კაპიტულაცია სწორედ 1945 წლის 2 სექტემბერს გამოაცხადა).

16 წლის მალიორკელთან ქართველთაგან პირველს ირაკლი ლაბაძეს მოუწია შეხვედრა და მაშინ ჭაბუკმა ვუნდერკინდმა მეტოქისთვის მხოლოდ 1 გეიმი გაიმეტა. ასეთივე „გულუხვობა“ გამოიჩინა პირენეელმა ნიკასთან შარშანწინდელი „გასეირნების“ დროსაც. და აი, მათი მეორე დუელი, რომელმაც თვალნათლივ დაადასტურა ბასილაშვილის არნახული პროგრესი — მან დიდი მუზარადის ტურნირების 17-გზის გამარჯვებულთან არათუ 17 გეიმი აიღო, არამედ სეტიც კი მოიგო ტაიბრეიქზე — 3:6, 3:6, 7:6, 4:6, თანაც ფლეშინგ მიდოუს კორტებზე გამომუშავებულ 260 ათას დოლართან და 180 სარეიტინგო ქულასთან ერთად საერთაშორისო კლასიფიკაციაში პირველად აღზევდა მისთვის სარეკორდო 31-ე პოზიციამდე.

და ბოლოს: ჩვენებურის წარმატების მნიშვნელობაზე მისი მეტოქის შეფასებაც მეტყველებს: **„ბასილაშვილმა ბრწყინვალედ ითამაშა და მთელი მატჩი შთამბეჭდავად ჩაატარა. ვცდილობდი აგრესიულად მეთამაშა, მაგრამ ქართველი უფრო აგრესიული იყო. იგი რთული მოწინააღმდეგეა და ჩემთვის ეს დიდი მოგებაა“.**

გიორგი შოთაძე

◎ ისევ პოდიუმზე

ოქროც, თანხაც

ბუდაპეშტში **გამართულ საერთაშორისო ტურნირ Red Bull Vizisprint-ზე, ქართველმა კანოისტმა ზაზა ნადირაძემ ოქროს მედალი დაიმსახურა.**

უნგრეთში მხოლოდ ტიტულოვანი სპორტსმენები იყვნენ მიწვეული. ჩვენმა თანამემამულემ ზედიზედ მოიგო ორი გაცურვა. ამ გამარჯვების შედეგად ზაზა ნადირაძეს პრიზის სახით 1500 ევრო გადაეცა. 26 აგვისტოს მან პორტუგალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე 200-მეტრიან დისტანციაზე მეოთხე ადგილი დაიკავა — დისტანცია 40,226 წამში დაფარა და მესამე საპრიზო ადგილამდე 0,183 წამი დააკლდა. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ნადირაძე ვერცხლის პრიზიორი გახდა, წელს კი ევროპის ჩემპიონატზე სერბეთში ოქროს მედალი მოიპოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კოლეგები

ბრძენთა თამაშის ტრფიალნი

2018 წლის მსოფლიო 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ორგანიზებით ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლემ მედიატურნირ „თბილისი 2018“-ს უმასპინძლა.

შეჯიბრება, რომელშიც 10 ჟურნალისტი მონაწილეობდა, წრიული სისტემით 9 ტურად გაიმართა. დაძაბულ და საინტერესო პაექრობებში პირველი ადგილი ზვიად შათირიშვილმა დაიკავა, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 8 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ თენგიზ ჩობანიძე და გოჩა თანდარაშვილი. უკეთესი კოეფიციენტი ჩობანიძეს აღმოაჩნდა და მეორე საპრიზო ადგილი მას მიენიჭა. IV-V ადგილები 6-6 ქულით, შესაბამისად, კახა ფაჩუაშვილმა და მიხეილ აბაიშვილმა გაიყვეს.

I-V ადგილებზე გასული მოჭადრაკეებისათვის პრიზების სახით დაწესებული იყო ტექნიკის სახლის ფასიანი ვაუჩერები.

ტურნირის დასრულების შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ მონაწილეებისათვის ერთდროული თამაშის სეანსი მოეწყო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მჯოგნის მჯოგნი

აბანოში გამოჩნდა

გორდიას **კვანძი გაიხსნა — სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავის ტატამზე გამართული ევროპის ძიუდოისტთა თასის გათამაშების ქართულ ფინალში (90 კგ) ბექა ღვინიაშვილმა ვაზარით სძლია უშუალო კონკურენტს — ავთანდილ ჭრიკიშვილს და, ვიმედოვნებთ, საბოლოო წერტილი დაუსვა უკანასკნელ პერიოდში სკანდალურად ქცეულ დილემას — შარშანდელი მუნდიალის III პრიზიორ უშანგი მარგიანთან ერთად ვინ დაიცავს მსოფლიოს დამდეგ ჩემპიონატზე „ჯვაროსანთა“ სპორტულ ღირსებას. შეგახსენებთ, რომ უმნიშვნელოვანეს ფორუმს 20-27 სექტემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო უმასპინძლებს.**

არანაკლებ საგულისხმოდ გვესახება ბრძოლის დასრულების შემდეგ მომხდარი ფაქტი — ამ ბოლო დროს გართულებული პირადი ურთიერთობის მიუხედავად, ჩვენი თანამემამულენი ვაჟკაცურად გადაეხვივნენ ერთმანეთს და ხელიც ჩამოართვეს. ვინატროთ, რომ გაუგებრობა საბოლოოდ ამოიწურა და წარსულს ჩაბარდა — ამით მხოლოდ ქართული ძიუდო მოიგებს.

კობა კობახიძე

◎ დაუვიწყარი გამარჯვება

მაგრამ ის მაინც პირველი იყო

ქართული **ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის „დინამო“ 1925 წელს დაფუძნდა. თითქმის საუკუნეს მიღწეული გუნდის ისტორიაში მრავალი წარმატება იყო როგორც საკავშირო, ასევე ევროპულ სარბიელზე, ჩამონათვალი მართლაც შთამბეჭდავია. დინამოელთა ერთი დიდი წარმატება 1976 წლის 3 სექტემბრით თარიღდება, როცა მათ მეექვსე ცდაზე გატეხეს ნავსი და**

სანუკვარი საკავშირო თასი თბილისში ჩამოაბრძანეს. წინა ხუთი გათამაშების ფინალში (1936-1937-1946-1960-1970 წლებში) ბროლის თასმა არ ისურვა თბილისისაკენ გამოხედვა, მიზეზი კი გახლდათ არაობიექტური, გაუგონარი და მიკერძოებული მსაჯობა.

ვთვლი, რომ ჩემი თაობის გულშემატკივრებს აშკარად გაგვიმართლა, რადგან ქართველ ფეხბურთელთა მრავალი დაუვიწყარი გამარჯვების მომსწრენი ვართ. ამის მაგალითად ამ წერილის ავტორი შორეული 1970 წლის ფინალური მატჩს შეგახსენებთ, მატჩს, სადაც თბილისის „დინამო“ თავის მოსკოველ თანაკლუბელებთან 1:2 დამარცხდა. ეს შეხვედრა კი იმით დამამახსოვრდა, რომ თბილისელთა შემადგენლობაში იმ დროისთვის სრულიად უცნობმა 19 წლის შოთა ხინჩაგაშვილმა ის ერთადერთი ბურთი ლეგენდარულ ლევ იაშინს გაუტანა. გატანილი გოლი ისეთი სილამაზის გამოვიდა, რომ დღევანდელი ფეხბურთის ვარსკვლავები სიამოვნებით დათანხმდებოდნენ მსგავსი შედევრების ავტორობას.

რაც შეეხება ტრიუმფალურ 1976 წლის თასის გათამაშებას, ქართველმა ფეხბურთელებმა ფინალამდე გზიდან ჩამოიცილეს ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, ლენინგრადის „ზენიტი“, ლვოვის ,,კარპატი“, დონეცკის ,,შახტიორი“ და ფინალურ მატჩში, რომელსაც მოსკოვმა 1976 წლის 3 სექტემბერს უმასპინძლა, ერევნის „არარატი“ სათამაშო კლასით აშკარად დაჩაგრეს და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს. თბილისელთაგან თავი გამოიჩინეს დავით ყიფიანმა, ფირუზ კანთელაძემ (პენალტი) და რევაზ ჩელებაძემ.

მატჩს მოსკოველი მსაჯი პავლე კაზაკოვი მოემსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია, ამ წერილით დინამოელთა წარმატების გულშემატკივრისთვის შეხსენება აუცილებლად ჩავთვალე. ფეხბურთის სიყვარული და გულშემატკივრობა სწორედ თბილისის ,,დინამოს“ გამარჯვებების ცქერით ვისწავლე. როცა შენს წინაშე ამხელა ტრადიციების გუნდია, უბრალო, რიგითი გულშემატკივარი ვერანაირად ვერ იქნები...

ბეჟან ჩხეიძე
ფესტაფონი

სანთელი

აკადემიკოსი გურამ თევზაძე

ქართულმა მეცნიერებამ, სრულიად საქართველომ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. მიმდინარე წლის 1 სექტემბერს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოსოფოსი, აკადემიკოსი **გურამ თევზაძე**.

გურამ თევზაძის სახით საქართველომ დაკარგა მისი ერთი გამორჩეული შვილი, მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი, საქმეზე შეყვარებული, პრინციპული და დიდი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება.

გურამ თევზაძე დაიბადა 1932 წლის 30 იანვარს ქ. თბილისში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1954-1957 წლებში იყო ასპირანტი ფილოსოფიის ისტორიის განხრით.

ახალგაზრდა გურამ თევზაძეს ქართულ ფილოსოფიაში ნოყიერი ნიადაგი დახვდა. შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, კონსტანტინე კაპანელი, მოსე გოგიბერიძე, კოტე ბაქრაძე, კიტა მეგრელიძე, ანგია ბოჭორიშვილი, სავლე წერეთელი, რომელთა მოღვაწეობამაც ჩამოაყალიბა მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის სახე. ამ დიდი ტრადიციების გაგრძელება სხვებთან ერთად წილად ხვდა გურამ თევზაძეს და მან ეს მისია ღირსეულად შეასრულა.

ასპირანტურის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, 1958 წელს გურამ თევზაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა“, ხოლო 1963 წელს სრულიად ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში იცავს სადოქტორო დისერტაციას — „გერმანელი ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“. 1970 წელს მას ირჩევენ პროფესორად.

1958-1971 წლებში გურამ თევზაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტშია, ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელად. 1971-2005 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიის კათედრას, ხოლო 2005 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშია. ბოლო წლებში ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი იყო.

გურამ თევზაძის მრავალმხრივი ღვაწლი მეცნიერებასა და პედაგოგიურ საქმიანობაში სათანადოდ დაფასდა, იგი 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოროსპონდენტად, ხოლო 1993 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

გურამ თევზაძეს 1993-2007 წლებში ეკავა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, 2002-2013 წლებში კი — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები.

გურამ თევზაძე 215-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე. მისი შრომები უპირველესად ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიური თეორიის სწორედ ფილოსოფიურ გარემოსთან და არა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებთან კავშირში განხილვას, როგორც ამას მაშინდელი ოფიციალური ფილოსოფია და იდეოლოგია მოითხოვდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგანაც ქართული ფილოსოფიური აზროვნების ტრადიცია ფილოსოფიის არსებას უყურებდა, როგორც თავისთავად ღირებულს, რაც საბჭოთა ეპოქაში თამამი პოზიციის გაცხადება იყო.

სწორედ ამ პოზიციიდან არის დაწერილი მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები, მათ შორის, „გერმანელი ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“ (1963) და „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა“ (1967). ეს უკანასკნელი ორიგინალურობით გამოირჩევა იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის ურთიერთობის თევზაძისეული გადაწყვეტით. საერთო აზრით, მიჩნეული იყო, რომ არ არსებობს ლოგიკური გზა ცნობიერებიდან არსისკენ. გურამ თევზაძე დეკარტის შეეჭვების მეთოდზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ აზროვნება თავისი ინტერნაციონალური ბუნების გამო მიმართულია თავის გარეთ არსებულ საგნობრივზე. ამდენად, ცნობიერების ყოველგვარი შინაარსი აუცილებლად მიუთითებს აზროვნებისგან დამოუკიდებელი რეალობის არსებობისკენ.

გურამ თევზაძის მონოგრაფიულ გამოკვლევათა გვირგვინია - „იმანუელ კანტი“ (1974), სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი კანტის თეორიული ფილოსოფია. ამ მონოგრაფიაზე სამართლიანად არის აღნიშნული: „საყურადღებოა, რომ მარქსიზმის მიერ „მოძულებულ“ ბევრ პრობლემას ერთ-ერთმა პირველმა (თუ ერთადერთმა არა) ყოფილ სსრკ-ის ფარგლებში, ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ გაუღო კარი. ის, რომ ქართველი ხალხი საკაცობრიო მნიშვნელობის ფილოსოფიური მონაპოვრის სრულუფლებიანი მემკვიდრეა, ამაში პროფ. გ. თევზაძის წვლილი და დამსახურება ძალზე დიდია“.

გურამ თევზაძის მოღვაწეობის გამორჩეული სფერო იყო როგორც მსოფლიო, ისე ქართული ფილოსოფიის ისტორია. მას ეკუთვნის ფილოსოფიის ისტორიის კურსები ანტიკურობიდან დღემდე ექვს წიგნად. ეს არ არის მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიის ფაქტების აღნუსხვა და დალაგება. ეს არის ღრმა და საფუძვლიანი კვლევებით მიღებული შედეგების გადმოცემა. მის შრომებში - ანტიკური ფილოსოფია, 1995 (მე-2 გამოცემა 2015 წ.), შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, 1996, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, 2008, ახალი ფილოსოფიის ისტორია. ნაწ. I, 2010; ნაწ. II, 2012, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, 2002 — მოცემულია დემოკრიტეს, პითაგორას, სოკრატეს, პლატონის, ავგუსტინეს, თომა აქვინელის, მაისტერ ეკჰარტის, ნოკოლოზ კუზელის, დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცის, ბერკლის, ჰიუმის, რუსოს, კანტის, ფიხტეს, შელინგის, ჰეგელის, დილთაის, ნიცშეს, ბერგსონის, ჰუსერლის, რასელის, ჰაიდეგერის, სარტრის და სხვათა შემოქმედების ღრმასაფუძვლიანი ანალიზი და გამოტანილია როგორც სპეციალისტთა, ისე მკითხველთა ფართო წრის სამსჯავროზე.

ორიგინალურობით გამოიჩევა გურამ თევზაძის ნაშრომები კაბადოკიელთა რენესანსზე (იგულისხმება კაბადოკიელ მამათა შრომების თარგმნა ქართულად და ჩვენი წინაპრების მხრიდან მათი იდეების გათავისება) საქართველოში, დასავლეთის თანამედროვე მარქსიზმზე, პოსტმოდერნზე და სხვა.

გურამ თევზაძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის ისტორიის ისეთი კურსების მომზადებასა და გამოცემაში, როგორებიცაა: შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები. ნაწ. I, 1981; ნაწ. II, 1984; XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია. 1970; თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია (XX ს. მეორე ნახევარი), 1988. ყველა ამ გამოცემის შემდგენელი, რედაქტორი და სტატიების დიდი ნაწილის ავტორია გურამ თევზაძე.

გურამ თევზაძემ ასევე გამოსცა რეპრესირებული ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის ოთხტომეული და გამოჩენილი ფილოსოფოსის სავლე წერეთლის გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

დიდია გურამ თევზაძის წვლილი ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნის საქმეში. მან გერმანული ენიდან თარგმნა და გამოსცა ჰაიდეგერის ეპოქალური ნაშრომი — „ყოფიერება და დრო“, კანტის - „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“ და ნიკოლაი ჰარტმანის — „ონტოლოგიის ახალი გზები“. მანვე დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ფილოსოფიური ლიტერატურის შედევრის - კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ თარგმანის (მთარგმნელი — შალვა პაუაშვილი) რედაქტირებასა და გამოცემაში (1979).

მსოფლიოს გამოჩენილ ფილოსოფოსთა შემოქმედებაზე გურამ თევზაძის ფუნდამენტური ნაშრომების გვერდით თავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი ქართული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური აზრის წარმომადგენლებს (პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, მოსე გოგიბერიძე, სავლე წერეთელი და სხვა). იგი ქართული ფილოსოფიისადმი ინტერესს იჩენდა ჯერ კიდევ ასპირანტობის წლებში. ამ დროს მისი ნაშრომი - „ი. პეტრიწის ბოლოსიტყუაჲს გაგებისათვის“ გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ ორგანოში — „მოამბე“ (1955, № 9).

გურამ თევზაძის თანარედაქტორობით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით მოსკოვში, „ფილოსოფიური მემკვიდრეობის“ სერიაში დაიბეჭდა ილია ფანცხავას მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი იოანე პეტრიწის თხზულება - „განმარტებაჲ პლატონურისა ფილოსოფიისა და პროკლე დიადოხოსისა“ (1984)

გურამ თევზაძის ბოლოდროინდელ შრომებს საფუძვლად უდევს ავტორისეული ორიგინალური თვალსაზრისი ცოდნისა და რწმენის ტოლსწორობის შესახებ, რაც გულისხმობს მსოფლმხედველობაში ცოდნისა და რწმენის წინააღმდეგობის გარეშე შეთავსების შესაძლებლობას.

ასევე დიდი წვლილი შეიტანა გურამ თევზაძემ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაში. აკად. შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ ის იყო ოთხტომეულის მთავარი რედაქტორი. ეს გამოცემა დასრულდა 2010 წელს და 2011 წელს იგი აღინიშნა მეცნიერებაში საქართველოს ეროვნული პრემიით.

გურამ თევზაძეს, როგორც მაღალი დონის ფილოსოფოსს დიდ პატივს სცემდნენ საზღვარგარეთ. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა კანტისადმი მიძღვნილ სამ საერთაშორისო კონგრესში. მან კანტზე, ჰეგელსა და ჰარტმანზე ლექციები წაიკითხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იენასა და ბოხუმში (გერმანია), ჩანჩუნში (ჩინეთი), ათენში (საბერძნეთი) და სხვ.

გურამ თევზაძის დამსახურება სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

გურამ თევზაძის გარდაცვალება დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისათვის. მის საქმეს გააგრძელებენ ქართველ ფილოსოფოსთა თაობები, რომელთა დიდი ნაწილი უშუალოდ მან აღზარდა, რაც იმის საწინდარია, რომ გურამ თევზაძის გაკეთებულ საქმესა და სახელს დავიწყება არ უწერია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

გურამ თევზაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე რუსუდან ენუქიძე, შვილი გიგი თევზაძე, და ია, ძმა იური თევზაძე, შვილიშვილები ანდრო, ნიკა, ირაკლი, ბენი თევზაძეები, თენგო დალაქიშვილი, რძლები ლალი ახობაძე, ნინო ცინცაძე, მაკა ლობჟანიძე, ძმისწულები ლალი, ნინო, მარიამ თევზაძეები ოჯახებით, მძახლები ნაზი ბაბუნაშვილი, თენგიზ, თამილა, ლეილა ლობჟანიძეები, მარინე, ნინო ახალაძეები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ბენიამინის ძე თევზაძე

პანაშვიდი 2, 3 IX, 17 სთ. დაკრძალვა 4 IX, 15 სთ. მისამართი თამარაშვილის 9.

რაციონალობის ანკლავი

სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ გურამ თევზაძის ემერიტირების საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე



თანამედროვე ფილოსოფიაში საქმე ძალიან მარტივადაა — არ არსებობს ადამიანი, რომელიც შეიძლება ფილოსოფოსად იწოდებოდეს და არ ჰქონდეს წაკითხული კანტი. ნებისმიერი სხვა ავტორი შეიძლება უგულებელყო — პეგელიც და ნიცშეც, სპინოზაც და დეკარტიც, მაგრამ კანტს ვერაფერს მოუხერხებ.

ხოლო საქართველოში ფილოსოფიური განათლება მიღებული არ გაქვს, თუ არ დასწრებიხარ გურამ თევზაძის კურსს კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ შესახებ.

„წმინდა გონების კრიტიკის“ ყოველი მკითხველისთვის ცნობილია კანტის მიერ რაფსოდიულობის კრიტიკა. რაფსოდია — ეს არა მხოლოდ მუსიკალური ჟანრია, რომლის შიგნითაც არარეგულარული ფორმის ნაწარმოებები იქმნებოდა და რომელიც რომანტიკოსებს უყვარდათ განსაკუთრებით. რაფსოდია ეტიმოლოგიურად ენთუზიასტურ გრძნობასა და გამოხატვას უკავშირდება — ბერძნული „რაპსოდიოს“.

საქმე ისაა, რომ ქართველი მოაზროვნეებისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ის რაფსოდიულობა, ასე რომ არ მოსწონდა კანტს — ერთი აზრის, ერთი იდეის ატაცება, შემდეგ მისი დაკავშირება — განსაკუთრებული შინაგანი ლოგიკის გარეშე — სხვა ეფექტურ იდეასთან. იყო ამაში რაღაც ზედაპირული, შთაბეჭდილების მოხდენაზე გათვლილი. სამხრეთულ კულტურაში მეცნიერებაც სამხრეთულად კეთდება.

ბატონი გურამ თევზაძე იყო ამ რაფსოდიულობის სრული ანტიპოდი. სისტემატურობა — აი, გაკვეთილი, რომელსაც ის აძლევდა მის ნებისმიერ მოწაფეს, სისტემატურობა ნიშნავს არა ერთი და საბოლოო შენობის აგებას, რომლის შიგნითაც ყველა პრობლემასა და საკითხს მკაცრად განსაზღვრული ადგილი ექნებოდა, არამედ გამოთქმული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებულობასა და კორელაციას. „სისტემა“, „რაფსოდიის“ მსგავსად, ბერძნულიდან მომდინარეობს, „სუნ“, ერთად, „ჰისტენაი“, დგომა. ამ აზრით ბატონი გურამი არა მხოლოდ ფილოსოფიურ-შინაარსობრივ, არამედ მეთოდოლოგიურ-ფორმალურ დონეზეც ნამდვილი კანტიანელი იყო.

მე არ მოვყვები იმ დამსახურებების ჩამოთვლას, რომლებიც ბატონ გურამ თევზაძეს მიუძღვის ქართული ფილოსოფიისა და, ზოგადად, კულტურის წინაშე: მან თარგმნა ჰაიდეგერის „ყოფნა და დრო“, კანტის წიგნი რელიგიაზე, ხელმისაწვდომი გახადა პეტრიწი რუსულ ენაზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მონოგრაფია კანტის შესახებ და ბოლო წლების ნაშრომები ფილოსოფიის ისტორიაში — ქართულ ენაზე ფილოსოფიის ისტორიის პირველი პრეზენტაცია, რომელიც ერთი კონკრეტული პერსპექტივიდან ამოდის. ცხადია, შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს პერსპექტივა ვერ ასახავს მთელ ფილოსოფიურ პრობლემატიკას მთელი მისი მრავალფეროვნებითა და სისრულით. მაგრამ სასრულობა ნებისმიერი ადამიანური წამოწყების მახასიათებელია. მთავარია ის, რომ ის დასავლური ფილოსოფიის უზარმაზარი გამოცდილება შეჯამდა ქართულ ენაზე რამდენიმე წიგნში, ერთი პერსპექტივიდან გამომდინარე, სისტემურად — ასეთი გამოცდილებები ენასა და კულტურას არ ავიწყდება.

მაგრამ ისევ სისტემურობას დავუბრუნდები — ქვეყანაში, სადაც რაციონალიზაციის დიდი და დიადი პროცესი არ განხორციელებულა, ქვეყანაში, რომელმაც გამოტოვა განმანათლებლობის ეპოქა, უნივერსიტეტებს, გარდა ცოდნის შენახვა-წარმოქმნის ფუნქციისა, კიდევ ერთი, საზოგადოებრივი ფუნქციაც აკისრიათ — რაციონალობის ანკლავის შესრულების ფუნქცია. ანკლავისა იმიტომ, რომ ის გარემო, რომელშიც უნივერსიტეტს არსებობა უხდება, საზოგადოება, რომელშიც უნივერსიტეტი არსებობს, სულაც არაა მეგობრულად განწყობილი რაციონალობის მიმართ. ბატონი გურამის მოღვაწეობა, როგორც პედაგოგიური, ისე კვლევითი, სწორედ საკუთარი სისტემურობის წყალობით, რაციონალობის სტანდარტებს მისაწვდომს ხდიდა ენასა და საზოგადოებაში, სადაც ისინი ნაკლებად იყო გავრცელებული და, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, როგორც ჩანს, ეს რაციონალობა არც მომავალში იქნება დომინანტური. მით უმეტეს საჭიროა რაციონალობის ანკლავების შენარჩუნება-გაძლიერება.

ბატონი გურამისთვის ემერიტუს პროფესორის სტატუსის მინიჭება იმას კი არ გულისხმობს, რომ ის ჩვენ გვტოვებს, არამედ იმას, რომ ის ჩვენთან რჩება იმის გარეშე, რომ ახალ კონკურსებში სჭირდებოდეს მონაწილეობის მიღება აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. მისი მოღვაწეობა ახალ თაობას არანაკლებ სჭირდება, ვიდრე უფროს თაობებს, რომელთა განათლებაშიც მან გადამწყვეტი როლი შეასრულა, თაობებს, რომლებსაც დღეს ჩვენ წარმოვადგენთ.

გიგა ზედანია
2009 წელი

როგორ ასწრებდი ყველაფერ ამას?!

შენზე ამბობენ, გურამს ქუჩიდან მოსულმა უცნობმა რომ თხოვოს, ფილოსოფია მასწავლეო, არ დაფიქრდები და უარს არ ეტყვი (ამაში დარწმუნებული ვარ). იმასაც ამბობენ, ნიჭიერ ხელმოკლე სტუდენტს გერმანულს ასწავლიდაო.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ უნივერსიტეტის ფილოსოფიურ მეცნიერებათა სადოქტორო საბჭოს სწავლულ მდივნად ჩემი 12-წლიანი მუშაობის პერიოდში შენი ხელმძღვანელობით შესრულებული ყველა დისერტაცია იყო სანიმუშო და თვით დისერტანტები — სამაგალითონი.

რაც შეეხება შენი მეცნიერული კვლევის სფეროს, იგი საოცრად მდიდარი, მრავალფეროვანია, იქნება ეს ემპირიზმი, რაციონალიზმი, განმანათლებლობა საფრანგეთსა თუ გერმანიაში, სიცოცხლის ფილოსოფია, ნეოკანტიანელობა, ფენომენოლოგია, ეგზისტენციალიზმი და სხვა. და რაც მთავარია, ახდენ არა მარტო დეტალურ გადმოცემას განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებათა არსისა, ასევე მათ შორის ურთიერთკავშირს, მემკვიდრეობითობას. ამის მაგალითად მარტო მარბურგელთა მიერ კანტის შემეცნებითი შესაძლებლობის, „ნივთი თავისთავადის“ პრობლემის ანალიზიც კი საკმარისია, ან კიდევ ჰაიდეგერის მიერ ყოფიერებისა და დროის მიმართების შეფასება გადამერის მიერ და სხვა მრავალი.

გურამ, ისე მაინტერესებს, დარჩა კი ქვეყანაზე ფილოსოფოსი, რომ არ განგეხილოს? აწი რას იზამ, არ ვიცი.

და აი, ახლახან გამოცემული შენი წიგნი — „ილია ჭავჭავაძე და თანამედროვე აზროვნება“ (2010), მეტად საჭიროა ყველასათვის, განსაკუთრებით ჩვენი ხელისუფლებისათვის. ეს წიგნი შეხსენებაა ილიას თვალსაზრისისა მთელ რიგ საკითხებზე, როგორიცაა: ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა, მისი პატივისცემა და დაცვა ყოველი ხელისუფლების მიერ, რომ ცოდნა და პატიოსნება ახალი თაობის საქმეა, რომ ჩვენი გლეხი უმიწოდ არ დარჩეს, მიწიდან არ აიყაროს, მათი სახლების საკვამურიდან არ შეწყდეს სიცოცხლის კვამლი, არ დავუკარგოთ ქართველ გლეხს მიწის სიყვარული, აღვზარდოთ ყოფილ ყმაში თავისუფალი მესაკუთრე, და რომ ბატონყმობის გაუქმება საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა.

გურამ, შენ სწორად თვლი, რომ ილია იყო ევროპული მასშტაბის მოაზროვნე, მაღალეთიკური პრინციპების, სახელმწიფოებრივი ცნობიერების, ძლიერი გონების მატარებელი პიროვნება და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს კანტის ცნობილ გამოთქმას: „ფილოსოფია გონების კანონმდებლობაა“.

ლონდა მდივანი.
2014 წელი.

P. S. **გურამ**, თვითმხილველები შენზე ამბობენ კარგი მოთხილამურე იყავი, ძალიან კარგად ცურავდი, მთელი საქართველოს მთა და ბარი ფეხით გაქვს მოვლილი... ზაფხულობით გურიაში მამაპაპისეულ საგვარეულო კარ-მიდამოს უვლიდი... როგორ ასწრებდი ყველაფერ ამას?

ძალიან, ძალიან მიჭირს შენს მიმართ ვთქვა სიტყვა „გემშვიდობები“.

ლ. მ.

მინდია სალუქვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი მეგობარი, დიდი მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გურამ თევზაძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, მთელ სამეცნიერო საზოგადოებას და ინტელიგენციას.



ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, თაობის ღირსეული, საამაყო წარმომადგენლის, კოლორიტული თბილისელის, ქვეყნისთვის თავდადებული, ჭეშმარიტი პატრიოტის, კეთილშობილებით, გულისხმიერებით გამორჩეული მეგობრისა და კოლეგის

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალების გამო თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახსა და ახლობლებს

ცინარი მენთეშაშვილი, გივი ანჩაბაძე, ვალერი ასათიანი, დალი ბოჯგუა, რამაზ გოგლიძე, კაკო გონგლაძე, ალეკო გოცირიძე, ნელი გურგენიძე, გურამ დიდბარიძე, გივი თალაკვაძე, თემურ თოფურიძე, აბესალომ იმედაშვილი, ედუარდ კანდელაკი, ავთანდილ კანდელაკი, რესან კონცელიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნათელა ლაღიძე, ნიკო ლეკიშვილი, ლია ლომიძე, ზურაბ ლომიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, გივი მაზიაშვილი, ზაურ მესხიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, დავით სალარიძე, ბორის სარალიძე, ვიქტორია სირაძე, დიმიტრი ტყეშელაშვილი, კოტე შენგელია, მიშა წულაძე, ნოდარ ჭითანავა, ვიოლა ჯაფარიძე, დავით ჯაფარიძე.



საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული პიროვნებისა და დიდი პროფესიონალის, დამსახურებული ინჟინრის, ამავე აკადემიის აკადემიკოსის

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

აკადემიის სახელით **თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭითანავა, თამაზ დანელია.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დიდუბე პლაზა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს ღვაწლმოსილი და ღირსეული ადამიანის, კომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, სიკეთის, სიმართლის უანგარო ქომაგის

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალების გამო.

თამაზ ჩხიკვიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს მისი დიდებული ოჯახის წევრებს უღალატო მეგობრის

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალების გამო.

ლიანა, თამაზ გაბუნიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, კეთილშობილი, კოლორიტული პიროვნების

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ ფერაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი მეგობრის

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახსა და მეგობრებს.

ბორის სარალიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, კეთილშობილი ადამიანის, სანიმუშო ოჯახის მამის და ჩვენს ქართველ საზოგადოებაში აღიარებული პიროვნების

ნიკოლოზ ნეფედოვის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აქციური ჰოროსკოპი სექტემბერში

ამ თვეში გეოფიზიკური აქტივობის მომატება მოსალოდნელია 6-9, 13-20 და 23-27 რიცხვებში. აღნიშნულ დღეებში დიდია ყველა სახეობის ავარულობისა და სოციუმში დაძაბულობის ზრდა, ასევე სეისმოაქტივობის გაძლიერება.

9 – მთვარისა და მერკურის შეერთება ქალწულის თანავარსკვლავედში, ახალმთვარეობა. დიდია ყველა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების ალბათობა, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, შეუძლოდ ყოფნა, უძილობა. საჭიროა ნერვული სისტემის მოფრთხილება, სტრესებისთვის თავის არიდება.

13 – მთვარისა და ვენერას შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის შიშის გრძნობისა და ეჭვიანობის შემოტევები, თვითკონტროლის დაკარგვა. შესაძლოა, ასევე შარდის ბუშტის ანთება, ბუასილი, წინამდებარე ჯირკვლისა და საშვილოსნოს სნეულებების გამძაფრება. აუცილებლად უარი თქვით ალკოჰოლის მიღებაზე.

14 – მთვარისა და იუპიტერის შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში. შესაძლოა, ანთებით-ინფექციურ, აგრეთვე ვენერიულ დაავადებათა შეყრა და ტრავმები. გამორიცხული არ არის ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევები. კარგი დროა სასწავლად, ინტელექტუალური სამუშაოს შესასრულებლად.

17 – მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარის შეერთება სატურნთან თხის რქის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. შესაძლოა, რევმატიზმის გამძაფრება, სახსრების, მყესების, კუნთებისა და ხერხემლის ტკივილები, საჭიროა მძიმე ფიზიკური დატვირთვებისა და გაციებისთვის თავის არიდება, მეტი ყოფითი სიფრთხილის გამოჩენა.

19 – მთვარისა და პლუტონის შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის ურთიერთობათა დაძაბვა სამსახურში ხელმძღვანელებთან, ანდა ოჯახში უფროს წრეებთან. სავარაუდოა სამოძრაო-საყრდენი აპარატის დაავადებები, ძვლებისა და სახსრების ტკივილები. აუცილებლად მოერიდეთ ტრავმატიზმსა და გაციებას.

20 – მთვარის აპოგეა, მთვარისა და მარსის შეერთება მერწყულის თანავარსკვლავედში. შეიძლება, გულისცმა აგიჩქარდეთ. სპაზმებიც წარმოგეშვათ, ხერხემალში გამჭოლი ტკივილი გაგიჩნდეთ, ვენების ვარიკოზული გაფართოებისა და თრომბების გამო აგტკივდეთ ფეხები. მოერიდეთ სტრესებს, გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას.

23 – მზე გადადის სასწორის თანავარსკვლავედში, მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის რეალობის შეგრძნების შესუსტება, „ღრუბლებში ნავარდი“. შესაძლოა, ფეხების ტერფებში ტკივილის წარმოშობა. მოერიდეთ ტრავმებს.

27 – მთვარისა და ურანის შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. შეიძლება, ყელის იოგები დაგეჭიმოთ, დიდია კისრისა და თავის ტრავმების მიღების ალბათობა. გამორიცხული არ არის ცხვირ-საყლაპავის, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებათა წარმოშობა. თავი შეიკავეთ ქვედა ყბაზე კბილების ამოღებასა და პროთეზირებისაგან.

SONY-ს ჭკვიანი რობოტი ძაღლი მსოფლიოს დასაპყრობად ემზადება

Sony-ს ჭკვიანი რობოტი ძაღლი მსოფლიოს დასაპყრობად ემზადება. ჯერ კიდევ 2017 წლის ნოემბერში Sony-მ ინტელექტუალური რობოტი Aibo წარმოადგინა, რომელსაც ძაღლის იერსახე აქვს. ძაღლი საკმაოდ წარმატებულად იყიდებოდა იაპონიაში, ხოლო ამიერიდან ის მთელი მსოფლიოსთვის იქნება ხელმისაწვდომი.

რობოტი ძაღლი 4000 დეტალისგანაა აწყობილი და მას გულის ნაცვლად Wi-Fi-ს, LTE-ს, და სხვა გადამცემები აქვს ჩამონტაჟებული. **Aibo** დამუხტულ მდგომარეობაში 2 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს, ხოლო თავად მის დამუხტვას 3 საათი სჭირდება.



იაპონიაში **Aibo**-ს ფასი 1740 დოლარია, ხოლო მსოფლიო ბაზარზე მისი ღირებულება 2899 დოლარი იქნება და მისი რეალიზაცია სექტემბრიდან დაიწყება.

სანთელი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მამულიშვილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორის, ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის, ბატონი

იური ლომიძის

გარდაცვალების გამო.

უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

BATUMI MUSICFEST 12 სექტემბრამდე გაგრძელდება

პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში ბათუმში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი Batumi Musicfest დაიწყო, რომელიც 12 სექტემბრამდე გაგრძელდება. ფესტივალთან დაკავშირებით სასტუმრო ჰილტონში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ და იუნესკოს მშვიდობის ელჩმა, ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ Batumi Musicfest-თან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს.

Batumi Musicfest იუნესკოს მაღალი პატრონაჟით ტარდება. ფესტივალის ფარგლებში ბათუმელებსა და ბათუმის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცემათ მოუსმინონ ვინავსკის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატს, ცნობილ მევიოლინეს ვერიკო ჭუმბურიძეს, რომელიც საქართველოში პირველად დაუკრავს. ფესტივალზე წარმოდგენილები იქნებიან: ფრანგი პიანისტი, ახალი თაობის მსოფლიოს ვარსკვლავი ლიზ დე ლა სალი, ავსტრიელი პიანისტი ვიქტორია ხირშუბერი, ფორტეპიანოს ლეგენდა ბარი დუგლასი, მირონ მიხალიდისი, გურამ ოდიშარია და აფხაზეთის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი, ხვიჩა მაღლაკელიძის „ქართული გიტარა“, ქართველი მაესტრო დავით მუქერია და ბათუმის მუსიკალური ცენტრის ორკესტრი, ასევე, ნორჩი ქართველი ვირტუოზები ილია ლომთათიძე და ბარბარე თათარაძე, რევაზ ლაღიძის სახელობის გოგონათა გუნდი და იუნესკოს მშვიდობის არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, პიანისტი ელისო ბოლქვაძე.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ინოვაციური მეთოდოლოგიის ავტორის, მაესტრო მიშელ სონის მასტერკლასები. ფესტივალის საღამოები ტარდება ბათუმის მუსიკალურ ცენტრში, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, ჩოხატაურის საკონცერტო დარბაზში.

ისეთ ჭორს რა ვუთხარი...

წიოკზე და სკანდალებზე თვალებდაჭყეტილმა ბრიტანულმა ტაბლოიდებმა მორიგი ჭორი გამოაცხვეს, რომ თითქოს დევიდ ბექჰემმა ცოლის მიერ დადებული „ბორკილები“ შეიხსნა და საწოლში მთელ ინგლისში ნამეტნავად პოპულარული ფოტომოდელი და ბლოგერი ქეით პრეისი ჩაიკოტრიალა.

ამ ამბავზე ათასრამენახულმა ქეითმა თქვა, ბექჰემთან თანაყოფა რომ მდომოდა, აქამდეც მოვახერხებდი ამასო და თან დააყოლა – მე გავაგანიერი ქვემოკემბრიჯელი ქეითი არ ვიყო, ასეთი ჭორების გამავრცელებლებს თუ არ მიავაკვლიო და იმ ბეყერა თავ-პირში სულ ჩემი დიადი მკერდი არ ვურტყაო.

ისედაც მიხვდებოდით, რომ ქეით პრეისი ნამდვილად არაა ის ქალი, რომელიც პოპულარობისათვის ბექჰემთან კოტრიალს მოიგონებს. მისი თამამი ფოტოები და ბლოგები მთელ ბრიტთა კუნძულს ნანახი აქვს და სანამ პირში სული უდგას, კიდევ მრავალ მამრს ააყმუვლებს მგელივით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 6 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5789; ევრო - 3.0078;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3539;
100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4247;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5172;
1000 სომხური დრამი - 5.3449.

ამინდი 4 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +31
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +32
თბილისი: ღამე +16, დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge